ეწვიეთ ვებ-გვერდს და იკითხეთ ახალი ამბები

# OBSERVER
OBSERVE TO LEAD

11 აპრილი, 2016 N20

ყოველკვირეული ორენოვანი გაზეთი საქართველოში

WEEKLY BILINGUAL NEWSPAPER IN GEORGIA

## ქართული საარჩევნო წლის თავისებურებები

გვ. 3

მას შემდეგ, რაც საარჩევნო წელი აქტიურ ფაზაში შევიდა, ქვეყანაში საარჩევნო კამპანიების მოქმედების დაწყება შეინიშნება. როგორც წინა საარჩევნო წლების გამოცდილება გვიჩვენებს, საქართველოს არსებული სამთავრობო გუნდი და უმრავლესობის წევრები საარჩევნო ხმების მოგროვებას ცდილობენ და აპელირებას ახდენენ იმგვარ თემებზე, რაც მოსახლეობის უმრავლესობის მხარდაჭერით სარგებლობს.

## საფრანგეთმა სექს-მომსახურებისთვის ფულის გადახდა არაკანონიერად მიიჩნია

გვ. 6

სოციალისტმა პარლამენტარმა მოდ ოლივიემ, რომელიც ინიციატორი გახლდათ, განაცხადა, რომ პროექტის მიზანია იმ სექს-მუშაკების დაცვა, რომლებსაც ბიზნესის დატოვება სურთ. "ჩვენ არ შეგვიძლია მივიღოთ ის რეალობა, სადაც სხეული იყიდება იმიტომ, რომ ვიღაცას ფული აქვს, მეორეს კი ფინანსურად უჭირს და საპროსტიტუციო ქსელში იმის გამოა ჩართული, რომ პრობლების მოგვარების სწრაფ გზებს ეძებს და არ აქვს სხვა გამოსავალი. ჩვენ უნდა შევცვალოთ საზოგადოებაში გაბატონებული აზრი, თითქოს პროსტიტუცია არის საჭირო ბოროტება."

## წყალში გადაყრილი მილიონები თუ მომავლის ინვესტიცია

გვ. 8

ეკონომიკის მინისტრის ახალ ინიციატივას „ოზზერვერთან" საუბრისას დადებითად აფასებს ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში, ლია ელიავა: „სტარტაპებისთვის ხელის შეწყობა ცუდი ინიციატივა არაა. მიუხედავად იმისა, რომ ამ თანხის დიდი ნაწილი წყალში გადაყრილი იქნება და სტარტაპების 85-90% პროცენტი არ გაამართლებს, ნაწილი რომელიც დარჩება და განვითარდება ქვეყნისთვის ძალიან სასარგებლო იქნება."

ერდოღანის მუქარა ევროკავშირს და უვიზო მიმოსვლის მოთხოვნა
გვ. 5

„ბრიჯ-ინოვაცია და განვითარება" გენდერულად სენსიტიური საზოგადოების საჭიროებების კვალდაკვალ
EXCLUSIVE
გვ. 9

18 წლის ნიკოლოზ გაჩეჩილაძის წარმატება გლობალური ინოვაციების კონკურსზე
EXCLUSIVE
გვ. 10

თვითმენეჯმენტის 7 წესი, როგორც წარმატების ფორმულა
EXCLUSIVE
გვ. 11

გიორგი მელუას თეოსოფიური ხედვა მხატვრობაში
EXCLUSIVE
გვ. 13

საჯარო მეტყველების კონკურსის 19-წლიანი ტრადიცია საქართველოში
EXCLUSIVE
გვ. 15

2016 წლის 11 აპრილის მდგომარეობით

**ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლის ოფიციალური კურსები**

| | | |
|---|---|---|
| 1 USD | = | 2.2868 |
| 1 EUR | = | 2.6005 |
| 1 GBP | = | 3.2159 |
| 1 CHF | = | 2.3881 |
| 10 RUB | = | 0.3400 |
| 10 UAH | = | 0.8921 |
| 1 TRL | = | 0.8000 |

# საქართველოს დაუმოუკიდებლობის 25 წელი ციფრებში

საქართველოს რესპუბლიკამ სსრკ-ისგან დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1991 წლის 9 აპრილს

## ომები და შედეგები

ომი აფხაზეთში (1991-1994)

ტერიტორიები, რომლებიც აკონტროლებდნენ სეპარატისტები კონფლიქტის დაწყებამდე 1991 წ.

ომი შიდა ქართლში (1991-1992)

თბილისის მიერ არაკონტროლირებადი ტერიტორიები კონფლიქტის მიწურულს 1994 წ.

რუსეთ-საქართველოს ომი (2008)

რუსეთის მიერ 2008 წლის ომის მსვლელობისას ოკუპირებული ტერიტორიები

შედეგად, საქართველოს ტერიტორიის

**18%**

**ოკუპირებულია**

## მოსახლეობა

მოსახლეობის ოფიციალური დინამიკა




1993 წლის საქართველოს მოსახლეობის ნიშანზე არ ითვლება აფხაზეთისა და ცხინვალის ჩამოთვლილი მოსახლეობა

მოსახლეობის უარყოფითი დინამიკა აიხსნება მრომითი თუ სხვა ტიპის მიგრაციით, რაც თავის მხრივ გამოწვეული იქნა რთული სოციალური თუ პოლიტიკური გარემოთი

მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა




ეთნიკურად ქართველთა წილი 1991 წელს მოსახლეობის 70,7%-ს შეადგენდა, ხოლო 2016 წელს - 83,9%-ს შეადგენს

## ეკონომიკა

ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი (ნომინალური)

ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი (ერთ სულ მოსახლეზე)

## სიმბოლიკა

1990 წელს საქართველომ უარჰყო საბჭოთა სიმბოლიკა, რითაც აღადგინა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო დროშა, გერბი, და ჰიმნი

**დიდება**

2004 წელს ვარდების რევოლუციის შედეგად მოსულმა მთავრობამ მიიღო ახალი დროშა, გერბი და ჰიმნი

**თავისუფლება**

OBSERVER
OBSERVE TO LEAD

ინფოგრაფიკის ავტორი: **თეიმურაზ შა**

# ქართული საარჩევნო წლის თავისებურებები

გიორგი ჩაფიძე

გასულ კვირას საქართველოს მთავრობამ საპარლამენტო არჩევნების თარიღად 8 ოქტომბერი დაასახელა. პრემიერ მინისტრის განცხადებით, არჩევნების სწორედ ამ დროს გამართვის თაობაზე „პოლიტიკური გადაწყვეტილება“ მიღებულია, რომელიც აღარ შეიცვლება.თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ კამპანიის ოფიციალური ათვლა აპრილიდან დაიწყება, ვინაიდან კვირიკაშვილის თქმით ეს ქვეყანას დამატებით 7-8 მილიონი დაუჯდება „რისი ფუფუნებაც ქვეყნის ბიუჯეტს არ გააჩნია“. გარდა ფინანსური საკითხებისა, მთავრობა ითვალისწინებს მეორე ტურის დანიშვნის შესაძლებლობას ზოგიერთ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში და სურს, რომ აღნიშნული პროცესი ზამთრის დაწყებამდე დასრულდეს, რადგან მაღალმთიან რაიონებში პრობლემა შეიძლება შეიქმნას საარჩევნო ოლქებთან მისვლის კუთხითაც. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის, დიმიტრი ქუმსიაშვილის განმარტებით, დასამტკიცებელია ქვეყნის მომავალი წლის ბიუჯეტი, რისთვისაც საჭიროა რომ პარლამენტის სრული შემადგენლობა დროულად შეიკრიბოს. იმ შემთხვევაში თუ არჩევნები 8 ოქტომბრის შემდეგ დაინიშნება და მეორე ტურის ჩატარების საჭიროებაც დადგება, შესაძლოა ორეტაპიანი პროცესი დროში გაიწელოს და ახალმა პარლამენტმა მომავალი წლის ბიუჯეტზე მსჯელობა დროულად ვერ მოასწროს.

მას შემდეგ, რაც საარჩევნო წელი აქტიურ ფაზაში შევიდა , ქვეყანაში საარჩევნო კამპანიების მოქმედების დაწყება შეინიშნება. როგორც წინა საარჩევნო წლების გამოცდილება გვიჩვენებს, საქართველოს არსებული სამთავრობო გუნდი და უმრავლესობის წევრები საარჩევნო ხმების მოგროვებას ცდილობენ და აპელირებას ახდენენ იმგვარ თემებზე, რაც მოსახლეობის უმრავლესობის მხარდაჭერით სარგებლობს. ამგვარი პოპულარული საკითხებია მიწისა და ქონების რეგისტრაციის გამარტივება, საპენსიო რეფორმის ინიცირება დაპენსიების გაზრდა, რელიგიასთან და ტრადიციებთან დაკავშირებულიიმსაკითხების წინ წამოწევა, რაც მართლმადიდებლური ეკლესიის მრევლის დიდი ნაწილის მხარდაჭერით სარგებლობს, მაგალითად,ქორწინების კანონით განსაზღვრა, როგორც ქალისა და მამაკაცის ერთობა.

პირველ რიგში, აღსანიშნავია საპენსიო რეფორმის საპარლამენტო განხილვა, რაც 6 აპრილს შედგა. ახალი ინიციატივით, პენსია ყოველწლიურად გაიზრდება ინფლაციის დონის შესაბამისად, ხოლო მაღალი ეკონომიკური ზრდის შემთხვევაში პენსია შესაძლებელია ინფლაციაზე მეტადაც გაზარდოს. უკანასკნელ ერთ წელიწადში ლარის ისტორიულ მინიმუმამდე გაუფასურებისა და მსყიდველუნარიანობის დაცემის გათვალისწინებით, პენსიის ინფლაციის დონის მიხედვით ცვალებადობა ძალზედ პოპულარული ინიციატივა, ვინაიდან აღნიშნულ თემაზე ხშირად ხდება აპელირება პენსიონრების მხრიდან, რომლებიც, ლარის ღირებულების შეცვლის გათვალისწინებით, უფრო ნაკლებს იღებენ, ვიდრე წინა წლებში.

მეორე საკითხია სოციალური (საყოველთაო, დღევანდელი ქართული საპენსიო მოდელი) და დაგროვებითისაპენსიო სისტემის შერწყმა და ჰიბრიდული (შერეული) მოდელის დანერგვა. დაგროვებითი საპენსიო სისტემის შემთხვევაში, როგორც კერძო ასევე საჯარო სექტორის წარმომადგენელი დამსაქმებელი ვალდებული იქნება თანამშრომელს შესთავაზოს ყოველთვიური საპენსიო შენატანი, რაც ხელფასის 2% -ით განისაზღვრება და გადაირიცხება მის საპენსიო ფონდში. მომსახურეს უფლება ექნება თავადვე აირჩიოს ის პროცენტი, რომლის დაგროვებაც საპენსიო ფონდში სურს, თუმცა იგეგმება ზედა საპროცენტო ლიმიტის დაწესებაც, მაგრამ ჯერჯერობით აღნიშნული ციფრი უცნობია. მოქალაქის გარდაცვალების შემთხვევაში კი დაგროვებული თანხა მემკვიდრეს გადაეცემა. ამგვარად, საპენსიო ასაკში მოქალაქე მიიღებს სოციალური და დაგროვებითი საპენსიო სისტემის კომბინაციით დაანგარიშებულ თანხას, რაც, შესაძლოა ამომრჩეველთა დიდი ნაწილისათვის ხელსაყრელი მოდელია. ამგვარი საკითხის წინ წამოწევა შეიძლება მოსახლეობის კეთილგანწყობის მოსაზიდ ნაბიჯად იქნეს აღქმული, ვინაიდან პოპულარული ნაბიჯების გადადგმა არსებული მთავრობის მეტ რეიტინგსა და წარმატების შანსს ნიშნავს ოქტომბრის არჩევნებზე. პენსიის ინფლაციის დონის მიხედვით ცვალებადობა კი სავარაუდოდ, მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობისათვის მისაღები ვარიანტია.

საქართველოს პარლამენტში აგრეთვე დაიწყო მიწების რეგისტრაციასთან დაკავშირებული ახალი კანონპროექტის განხილვა (“მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური რეგისტრაციისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“), რომელიც იუსტიციის სამინისტროს მიერ იყო ინიცირებული და პარლამენტარებს თეა წულუკიანმა, იუსტიციის მინისტრმა, წარუდგინა. წულუკიანის განცხადებით, მიწების რეგისტრაცია გამარტივდება და მოიხსნება ის ბარიერები და პროცედურული შეზღუდვები, რაც მიწის გადაფორმებასთან იყო დაკავშირებული. იგეგმება მიწის რეგისტრაციის პროცესის წახალისება, შესაბამისად, უფრო მეტი მოქალაქე შეძლებს მიწის საკუთრებაში მიღებას. მინისტრის განცხადებით, მიწის რეგისტრაციასთან დაკავშირებული პრობლემები 90-იანი წლებიდან არსებობს და სახელმწიფოს ჭირდება ისეთი საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც მაქსიმალურად იქნება მოქალაქეებზე მორგებული. პროცედურების გამარტივების კონკრეტულ მექანიზმებს კი აზომვითი ნახაზის შედგენის წესის შემოღება, საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტის მოძიებაში დახმარება, ხარვეზიანი დოკუმენტების შეცვლა და პროცესში საჯარო რეესტრის ჩართვა იქნება.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში მიწების რეგისტრაციის საკითხის განხილვა ხშირად საარჩევნო მარათონს ემთხვევა. მაგალითად, საქართველოს მთავრობის 2012 წლის 28 ივნისის 231 დადგენილებაც მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის გამარტივებასა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფას ისახავდა მიზნად (ეროვნული სააგენტო აღნიშნულ პროცედურას უფასოდ ახორციელებდა, ხოლო საკადასტრო ინფორმაციის შესაბამისობაში მოყვანის ღირებულება მხოლოდ 3 ლარით იყო განსაზღვრული), რაც შესაძლოა აგრეთვე აიხსნას საარჩევნო ხმების დაგროვების მოტივით 2012 წლის საპარალამენტო არჩევნებისთვის. იმის გათვალისწინებით, რომ მიწის დაკანონებასთან დაკავშირებული საკითხები მოსახლეობის დიდ ნაწილს ეხება, ხოლო მისი გამარტივება მისაღები ნაბიჯია მთავრობა ამგვარი საკითხების ინიცირებას საარჩევნო მარათონის საწყის ფაზაში ახორციელებს.

კიდევ ერთი საკითხი ქორწინების ქალისა და მამაკაცის ერთობად განსაზღვრის ინიციატივაა. უმრავლესობის წევრი დეპუტატი გედევან ფოფხაძე გამოდის ინიციატივით, რომ 8 ოქტომბერს არჩევნებთან ერთად რეფერენდუმიც ჩატარდეს, რომელიც ამ საკითხის განხილვას დაასრულებს და კონსტიტუციაში შესატანი ცვლილების საკითხს გადაწყვეტს.ნიშანდობლივია, რომ ამგვარი ინიციატივა იმ სოციო-პოლიტიკური კლიმატის ფონზე ჟღერდება, როდესაც ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებაზე განხილვაც კი არ მიმდინარეობს. შესაბამისად, საკითხის წინ წამოწევა მხოლოდ პოპულისტური შინაარსისაა და პოლიტიკური დივიდენდების მოპოვების სურვილითაა განპირობებული მოსახლეობის იმ ნაწილში, რომელიც აღნიშნულ ინიციატივას მიესალმება.

მიუხედავად იმისა, რომ ქორწინების კანონით განსაზღვრის საკითხზე არ არსებობს საყოველთაო გამოკითხვის შედეგები, ნავარაუდევია, რომ ქორწინების, როგორც ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირის დადგენას საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი მხარს დაუჭერს. განსაკუთრებით მართლმადიდებლური ეკლესიის მრევლი, რომელიც ტრადიციული ღირებულებების დაცვის მომხრედ მოიაზრება. შეიძლება ითქვას, რომ ქორწინების ამგვარ განმარტებაზე აქცენტის დასმა ამომრჩეველზე გათვლილი ნაბიჯია და მმართველი პარტიის კამპანიის ინტერესებში შედის.

სოციალური რეფორმების გარდა საქართველოს მთავრობა იწყებს პროექტს სახელწოდებით „Cჰეცკ ინ ჩეორგია“, რომლის ფარგლებშიც მიმდინარე წლის განმავლობაში ქვეყნის მასშტაბით ქართველი და უცხოელი შემსრულებლების კონცერტები გაიმართება. აღნიშნული პროექტი 24 აპრილს თბილისის სპორტის სასახლეში ეროს რამაზოტის კონცერტით დაიწყება. 27 მაისს დინამო არენაზე დამოუკიდებლობის 25 წლისადმი მიძღვნის კონცერტზე რობი უილიამსი იმღერებს, ხოლო 7 მაისს ჯგუფი “Mარრონ 5” ბათუმს ეწვევა. აღნიშნული პროექტისათვის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან 29 მილიონი ლარის გამოყოფაა დაგეგმილი, რაც ეკონომიკის სამინისტროს განცხადებით, ტურიზმის სფეროს ხელშეწყობას ემსახურება. თუმცა შესაძლოა წინასაარჩევნოდ პოზიტიური ფონის შექმნასაც ისახავდეს მიზნად, განსაკუთრებით ახალგაზრდა ამომრჩეველში და „პური და სანახაობის“ ტაქტიკის შემადგენელი ნაწილი იყოს.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა 8 აპრილს საზოგადოებას პროფესიული განვითარების პროექტი “საჯარო-კერძო პარტნიორობა პროფესიულ განათლებაში“ წარუდგინა. აღნიშნული პროექტი მიზნად ისახავს შრომის ბაზარზე პრიორიტეტული პროფესიების გამოვლენასა და საუმუშაო ადგილების შექმნას, რაც მინისტრის თქმით, განათლების რეფორმის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა. პროექტის მიზანია პროფესიონალების დასაქმება ჯერ კიდევ სწავლის პროცესში, ხოლო სწავლის დასრულების შემდგომ მათ გარანტირებული სამუშაო ექნებათ, როგორც მისი შინაარსითაა განსაზღვრული. ვიცე-პრემიერის განცხადებით, მთავრობა ყველაფერს გააკეთებს, რომ პროექტმა საყოველთაო ხასიათი მიიღოს და მასში, რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა მიიღოს მონაწილეობა. ანალოგიური ქვეტექსტი იკითხება ახალგაზრდული სტარტაპების დაფინანსების ინიციატივაშიც, რომლისთვისაც მთავრობა 35 მილიონი ლარის გამოყოფას აპირებს.

წინასაარჩევნო პერიოდში განხორციელებული დასაქმების პროგრამები უმუშევრობის გრძელვადიან პერსპექტივაში აღმოფხვრას არ ისახავს მიზნად და მხოლოდ დროებით დასაქმებულთა საარჩევნო ნებაზე გავლენის მოსახდენადაა გათვლილი. ამგვარი რეალობა არადემოკრატიულ საარჩევნო გარემოს ქმნის, რომელიც მმართველი პარტიის ინტერესებს ემსახურება. ეს პროგრამა ავლენს მსგავსებას საარჩევნოდ მოტივირებულ ხარჯვასთან. მაგალითად იგივე მოხდა 2012 წლის ივლის-აგვისტოს თვეში, როდესაც 25 000 მდე სტუდენტი კერძო და საჯარო სექტორში დროებით დასაქმდა და ბიუჯეტიდან 500 ლარი მიიღო. ამავე წელს „მევენახეობა-მელვინეობის“ განვითარების დაფინანსება გასამმაგდა (309%-ით გაიზარდა), ხოლო სახელმწიფო ორგანოების ეფექტურად ფუნქციონირების ხელშეწყობის ხარჯები განახევრდა. მსგავსი „სტაჟირების პროგრამები“ წინასაარჩევნო პერიოდში2006-2007 წლებშიც განხორციელდა, რაც სახელმწიფო ბიუჯეტს შესაბამისად 24 და 60 მილიონი ლარი დაუჯდა და შედეგად უმუშევრობის მხოლოდ რამდენიმე თვით შემცირება მოჰყვა. აშკარაა, რომ მოქმედი სამთავრობო გუნდი იმეორებს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პრაქტიკას და ახორციელებს პოპულარულ, ელექტორატზე გათვლილ პროექტებს.

საპარლამენტო არჩევნების პერიოდში პოპულარული ნაბიჯების გადადგმა საკანონმდებლო პროექტებისა და კერძო ინიციატივების სახით უმრავლესობის წევრი დეპუტატების მხრიდან წინასწარ გათვლილი პროპაგანდის ნაწილია. იგივე მიზანს ემსახურება ახალი დასაქმების პროგრამების ინიცირება, რაც საფუძვლიან ეჭვს აჩენს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის თანხები საარჩევნო მიზნებისთვის იხარჯება. სწორედ ამას შეიძლება უკავშირდებოდეს საპენსიო რეფორმის, მიწის საკუთრებაში რეგისტრაციის პროცესის გამარტივების, ქორწინების კონსტიტუციური განსაზღვრებისა და პროფესიული განვითარების პროექტების საკითხები. ამის ვარაუდის საფუძველს წინა საარჩევნო წლების პრაქტიკა და ელექტორატისათვის მნიშვნელოვანი თემების წინ წამოწევა იძლევა, რაც დროთა განმავლობაში ქართული საარჩევნო წლის თავისებურებებად ჩამოყალიბდა.

# ვილნიუსში საქართველო-ლიტვის კომისიის მე-3 სხდომა გაიმართა

2016 წლის 7 აპრილს ვილნიუსში, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის, მიხეილ ჯანელიძის ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, გაიმართა ევროპულ და ევრო-ატლანტიკური სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებზე საქართველო-ლიტვის კომისიის მე-3 სხდომა.

კომისიის შეხვედრას საქართველოსა და ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრები ხელმძღვანელობდნენ. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოსა და ლიტვის საგრეო საქმეთა სამინისტროების სხვადასხვა დეპარტამენტის დირექტორებმა.

სხდომის მიმდინარეობისას განიხილეს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები: საქართველოს ევროპული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის პროცესი, უსაფრთხოება, ორმხრივი ურთიერთობები, ეკონომიკური თანამშრომლობა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და მრავალმხრივი ურთიერთობები, თანამშრომლობა სტრატეგიული კომუნიკაციის სფეროში.

შეხვედრაზე კიდევ ერთხელ გაუსვეს ხაზი ლიტვური მხარის მზადყოფნას, ხელი შეუწყოს საქართველოს ევროპული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის პროცესს. აღნიშნეს საქართველოს მხრიდან ასოცირების შეთანხმების იმპლემენტაციის წარმატებული პროცესი და ამ გზაზე ლიტვური მხარის დახმარებისა და გამოცდილების გაზიარების მნიშვნელობა.

ყურადღება გამახვილდა სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის ფარგლებში საქართველოს მიერ მიღწეულ მნიშვნელოვან პროგრესზე და ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის წარმატებით ძალაში შესვლის აუცილებლობაზე, რაც დელეგაციების წარმომადგენელთა შეფასებით ხელს შეუწყობს ხალხთა შორის კონტაქტების გაძლიერებასა და აქტიური ბიზნეს და ეკონომიკური კავშირების ჩამოყალიბებას.

ორმხრივი თანამშრომლობის მიმართულებით აღინიშნა ეკონომიკური სფეროში არსებულ მზარდი პოტენციალი. ყურადღება გამახვილდა თანამშრომლობის იმ ახალ შესაძლებლობებზე, რასაც ასოცირების შეთანხმება, ევროკავშირთან ღრმა და თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი და „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ფარგლებში არსებული სხვადასხვა ინსტრუმენტები იძლევა. ხაზი გაესვა ბიზნეს საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის პირდაპირი კომუნიკაციისა და მჭიდრო კავშირების დამყარების მნიშვნელობას და მხარები შეთანხმდნენ, აქტიურად იმუშაონ ხსენებული კონტაქტების დამყარებისა და შენარჩუნებისთვის.

ევროპული ინტეგრაციის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა ეფექტურ კომუნიკაციას საზოგადოებასთან. მხარეები მიესალმნენ საქართველოს მთავრობის მიერ 2014-2017 წლებში ევროინტეგრაციის საკითხთა კომუნიკაციისა და ინფორმაციის შესახებ სტრატეგიის განხორციელებას. ლიტვამ გამოხატა მზადყოფნა მომავალშიც გაუზიაროს საქართველოს კომუნიკაციის სფეროში სათანადო გამოცდილება.

ლიტვის დელეგაციამ გამოხატა მზადყოფნა, შემდგომი დახმარება გაუწიოს საქართველოს განვითარების სფეროში თანამშრომლობის მხრივ, რომლის მიზანია ადმინისტრაციული და ინსტიტუციონალური შესაძლებლობების გაზრდა. ლიტვის დელეგაციამ აღნიშნა, რომ ლიტვა გააგრძელებს 2015 წელს დაწყებული ოთხი პროექტის იმპლემენტაციას და დაადასტურა, რომ 2016 წელს საქართველოში განხორციელდება ოთხი, ახალი განვითარების პროექტი – ჯანდაცვის, გარემოს დაცვის, კლიმატური ცვლილების პრევენციის, სოფლის მეურნეობის, სოციალური განვითარებისა და სამოქალაქო საზოგადოების, ასევე, თანაბარი უფლებების განხორციელების სფეროებში.

კომისიის სხდომაზე განიხილეს საქართველოს ნატოში ინტეგრაციის პროცესი და აღნიშნეს ამ გზაზე საქართველოს პროგრესი.

ლიტვის დელეგაციამ დადებითად შეაფასა საქართველოს მნიშვნელოვანი როლი ევრო-ატლანტიკურ უსაფრთხოებაში და მის წვლილი, როგორც ალიანსის ოპერაციებსა და მისიებში, ასევე რეგიონულ და საერთაშორისო უსაფრთხოებაში. ლიტვის მხარემ კიდევ ერთხელ დაადასტურა ნატოს ღია კარის პოლიტიკისადმი უწყვეტი მხარდაჭერა და მისი მზაობა საქართველოს შემდგომ მხარდაჭერაზე რეფორმებსა და ევრო-ატლანტიკურ მისწრაფებებში.

აღინიშნა, რომ ნატოს 2016 წლის ვარშავის სამიტზე კიდევ ერთხელ უნდა დადასტურდეს ალიანსის ღია კარის პოლიტიკა და ხაზი გაესვას საქართველოსათვის ნატოს პოლიტიკური და პრაქტიკული მხარდაჭერის გაძლიერებას.

კომისიის შეხვედრაზე ლიტვური მხარის მიერ კიდევ ერთხელ დადასტურდა მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი. ხაზი გაესვა ევროკავშირის გადამწყვეტ მნიშვნელობას საქართველოში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის უზრუნველსაყოფად. საქართველოს დელეგაციამ მადლიერება გამოხატა EUMM-ის მისიაში ლიტვის აქტიური მონაწილეობის გამო.

კომისიის სხდომაზე შეთანხმდნენ, რომ ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებზე საქართველო-ლიტვის კომისიის შემდეგი შეხვედრა 2017 წელს, საქართველოში გაიმართება.

შეხვედრის დასასრულს, ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრებმა ხელი მოაწერეს კომისიის დასკვნით ოქმს.

# ნატო-საქართველოს სახალხო დიპლომატიის ფორუმის მთავარი გზავნილები

2016 წლის ნატოს კვირეული ნატო-საქართველოს სახალხო დიპლომატიის ფორუმით 4 აპრილს დაიწყო. ფორუმი გახსნეს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა, სახელმწიფო მინისტრმა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში დავით ბაქრაძემ და ნატოს გენერალური მდივნის მოადგილის თანაშემწემ ტედ ვაითსაიდმა.

პრემიერ-მინისტრმა მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც მხარს უჭერს საქართველოს სწრაფვას ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციისკენ. პრემიერის თქმით, საქართველო ნატოს ვარშავის სამიტზე მკაფიო გზავნილებს ელოდება.

“ჩვენი მხრივ, ძალისხმევას არ ვიშურებთ იმისათვის, რომ შევინარჩუნოთ ალიანსში ინტეგრაციის პროცესის პოზიტიური დინამიკა და ნატო-საქართველოს ურთიერთობები გავხადოთ შინაარსობრივად კიდევ უფრო დატვირთული. საქართველოს აქვს პროგრესი და ხელშესახები შედეგები ამ მიმართულებით. ნატოსთან დაახლოების მიმართულებით ვარშავის სამიტზე საქართველო ელოდება მნიშვნელოვან პროგრესს, როგორც პოლიტიკური, ისე პრაქტიკული შედეგების კუთხით,” - განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

ფორუმზე აღინიშნა, რომ მსოფლიო საერთაშორისო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გამოწვევების წინაშე დგას, რაც ალიანსის წევრებისა და პარტნიორებისგან მოითხოვს სტრატეგიული კომუნიკაციის გაუმჯობესებას.

ფორუმის პირველი პანელიც, შესაბამისად, გააქტიურებული ჰიბრიდული ომის პირობებში სახალხო დიპლომატიისა და სტრატეგიული კომუნიკაციის ეფექტურობის მნიშვნელობას, რეგიონში პროპაგანდასთან ბრძოლის მეთოდებსა და ამ მიმართულებით მიმდინარე აქტუალურ საკითხებს დაეთმო. შემდეგ პანელებზე მოწვეული სტუმრები განიხილავენ თანამედროვე მედია საშუალებებს როგორც რბილი ძალის იარაღს, ისევე, როგორც რბილი ძალის როლს მზარდი ექსტრემიზმისა და ძალადობის პირობებში.

მეორე დღეს ფორუმის მონაწილეებს საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა და თავდაცვის მინისტრმა თინათინ ხიდაშელმა მიმართეს. ხაზი გაესვა საქართველოს ევროატლანტიკური მისწრაფების მნიშვნელობას ქვეყნის განვითარებისთვის და ამ საგარეო პრიორიტეტის ურყეობას.

„ჩვენ ნათლად ვაფიქსირებთ ჩვენი ქვეყნის კულტურულ და პოლიტიკურ მომავალს ევროკავშირში, ჩვენ ნათლად ვაფიქსირებთ ნატოს, როგორც უსაფრთხოების ქოლგას, რომელშიც ჩვენ უნდა გავერთიანდეთ“, - განაცხადა პრეზიდენტმა.

თინათინ ხიდაშელმა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ არ არსებობს განსხვავებული აზრი საქართველოს მომავლის შესახებ და რომ საქართველო უნდა დაბრუნდეს ევროპულ ოჯახში.

ფორუმის დასკვნით ნაწილზე განიხილეს საქართველოს პოლიტიკა და მოლოდინები ნატოს ვარშავის სამიტის წინ.

ნატო-საქართველოს სახალხო დიპლომატიის ფორუმი მედიისა და სამთავრობო უწყებების წარმომადგენლებისთვის სამუშაო ჯგუფების შექმნითა და სტრატეგიული კომუნიკაციის მნიშვნელობაზე, მის როლსა და გამოყენების მეთოდებზე დისკუსიით დასრულდა.

სპეციალურ სამუშაო ჯგუფებში გაიმართა დისკუსიები ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: მედიის ზემოქმედების ინსტრუმენტები განსხვავებულ მოსაზრებებზე, პროპაგანდისტული წყაროები და საშუალებები, როგორ უნდა მოხდეს საინფორმაციო ომის იდენტიფიცირება და ეფექტიანი რეაგირების მექანიზმების შემუშავება.

„ოდესმე გაგიგიათ სიტყვა „დეზინფორმაცია“? ეს არის არასწორი ინფორმაცია, რომლის მიზანია ადამიანის შეცდომაში შეყვანა“, განაცხადეს საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს წარმომადგენლებმა. ექსპერტებმა განიხილეს დეზინფორმაციასთან და პროპაგანდასთან ბრძოლის გზები სტრატეგიული კომუნიკაციის საშუალებით. ფორუმს ესწრებოდნენ სახელმწიფო მდივნის მოადგილე ევროპისა და ევრაზიის საკითხებში, ბენჟამენ ზიფი და ელჩი, იან კელი. მათ ხაზი გაუსვეს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია თავისუფალი მედია, პროაქტიული კომუნიკაცია და კოორდინაცია დეზინფომაციასთან ბრძოლაში.

სესიები აქტიური დისკუსიის რეჟიმში წარიმართა და მონაწილეებს ანტი-დასავლურ პროპაგანდასთან ბრძოლის მიმართულებით საკუთარი გამოცდილების გაზიარების საშუალება მიეცათ.

4-5 აპრილს თბილისში გამართული ნატო-საქართველოს სახალხო დიპლომატიის რომელიც ტრადიციულად ბრიუსელში იმართება, საქართველო პირველად მასპინძლობს. ფორუმის მუშაობაში აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლები, სახალხო დიპლომატიასა და კომუნიკაციების საკითხებზე მომუშავე სამთავრობო სტრუქტურებისა დანატოს შტაბ-ბინის წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტები მონაწილეობდნენ.

ფორუმი გასულ სამშაბათს დასრულდა ნატოს კვირეული კი 19 აპრილამდე გაგრძელდება. ნატოს კვირეული საქართველოში წელს მეცხრედ ტარდება. ფორუმი სსიპ “ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის” ორგანიზებით ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატთან კოორდინაციით, თავდაცვის სამინისტროს, საქართველოში ნატოს სამეკავშირეო ოფისისა და რუმინეთის საელჩოს მხარდაჭერით განხორციელდა.

# ერდოღანის მუქარა ევროკავშირს და უვიზო მიმოსვლის მოთხოვნა

გურამ ფცქიალაძე

გასულ ხუთშაბათს თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეპ ტაიპ ერდოღანმა ისაუბრა ევროკავშირთან მიღწეულ შეთანხმებაზე მიგრანტთა შესახებ და იქვე გააფრთხილა ორგანიზაცია, რომ ოფიციალური ანკარა არ შეასრულებს მის წილ საკმაოდ მნიშვნელოვან შეთანხმებას მიგრანტთა ნაკადების შესახებ, თუკი თავად ევროკავშირი არ განახორციელებს გარიგების საკუთარ ნაწილს.

„არსებობს ზუსტი პირობები. თუ ევროკავშირი არ გადადგამს სათანადო ნაბიჯებს, თურქეთი არ განახორციელებს შეთანხმებით გათვალისწინებულ პირობებს“- განაცხადა ერდოღანმა ანკარაში პრეზიდენტის სასახლეში წარმოთქმულ სიტყვაში.

აგრეთვე, მიგრანტთა კრიზისთან დაკავშირებით საუბრისას, პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ თურქეთი იმსახურებს სათანადო სამაგიეროს სირიელი მიგრანტების საკითხში შეტანილი დიდი წვლილისათვის, რაც გამოიხატა 2011 წლის შემდეგ თურქეთის მიერ დახარჯული 10 მილიარდ დოლარზე მეტი თანხით. თურქეთის მთავრობის მეთაურმა აგრეთვე აღნიშნა, რომ სამ მილიონ მიგრანტს სწორედ თურქეთის ბიუჯეტი ინახავს და, ევროკავშირიდან დაპირებების მიუხედავად, არანაირი ცვლილება არ განხორციელებულა.

მიგრანტებზე ახალ შეთანხმებას ხელი თურქეთსა და ევროკავშირს შორის 18 მარტს ევროკავშირის ლიდერებისა და მათი კოლეგის, თურქეთის პრემიერის აჰმედ დავითოღლუს შეხვედრისას მოეწერა. შეთანხმების თანახმად, 20 მარტიდან ყველა არალეგალი მიგრანტი, რომელიც გადავა თურქეთიდან საბერძნეთის კუნძულებზე, დაბრუნდება უკან თურქეთში. სანაცვლოდ თურქეთში დაბრუნებული თითოეული სირიელისთვის მოხდება თურქეთიდან ევროკავშირში თითო სირიელის გადაყვანა. ევროკავშირი ორ ნაწილად გამოუყოფს თურქეთის მთავრობას 3-3 მილიარდ ევროს შეთანხმების შესასრულებლად. შეთანხმების თანახმად ივნისის ბოლოს თურქეთის მოქალაქეები შეძლებენ თავისუფალ გადაადგილებას ევროკავშირის ქვეყნებში, რაც ოფიციალური ანკარის მთავარი მოთხოვნაა.

შეთანხმების ხელმოწერიდან ცოტა ხნის შემდეგ ხმა აიმაღლეს კვიპროსის მთავრობის წარმომადგენლებმა. ქვეყნის პრეზიდენტის, ნიკოზ ანასტასიადესის განცხადებით, თუკი ანკარა არ სცნობს კვიპროსის ბერძნული მთავრობის ლეგიტიმურობას, კვიპროსი აპირებს ვეტოს დადებას მოცემულ შეთანხმებაზე.

კვიპროსი 1974 წლიდან მოყოლებული დღემდე ორ ნაწილად გაყოფილად რჩება, რომლის ჩრდილოეთ ნაწილს, ფაქტობრივად, თურქეთი აკონტროლებს. სწორედ ამიტომ, კვიპროსის პრეზიდენტის თქმით, ევროპული საბჭოს მომდევნო შეხვედრაზე მისი ქვეყნის წარმომადგენლები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ისინი შეუშლიან ხელს ამ შეთანხმების სრულად განხორციელებას, თუკი თურქეთი არ შეიცვლის საგარეო მიდგომას კვიპროსის მიმართ.

მოცემული შეთანხმების მიღწევა რამდენიმე მიმართულებით დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა. უპირველესად, შეთანხმების შედეგად აუცილებლად გაღრმავდება შემდგომი ურთიერთობები მხარეებს შორის და თურქეთი დაუახლოვდება ევროკავშირს. ორგანიზაციის წევრობა თურქეთის მიუღწეველ მიზნად რჩება რამდენიმე დეკადის განმავლობაში. ჯერ კიდევ ევროპული ეკონომიკური თანამეგობრობის არსებობისას (ევროკავშირის სახელი 1992 წლამდე) დაიწყო პარტნიორობა 1963 წელს. თუმცა 1987 წლამდე თურქეთს არ მიუმართავს ორგანიზაციისთვის გაწევრიანების თაობაზე. 2005 წელს ოფიციალურად დაიწყო გაწევრიანების პროცედურა და ამისთვის საჭირო კრიტერიუმების დაკმაყოფილების პროცესი, რაც ჯერ კიდევ არ დასრულებულა და რთულად სავარაუდოა, უახლოეს მომავალში დასრულდეს.

ევროკავშირში გაწევრიანების პროცედურაზე საუბრისას საინტერესოა სხვა ქვეყნების მაგალითი. როგორც წესი, წევრობაზე ოფიციალური მიმართვიდან დაახლოებით ერთი დეკადა იყო საჭირო სახელმწიფოს ევროკავშირში გასაწევრიანებლად, მაგრამ თურქეთის შემთხვევაში უკვე თითქმის 30 წელია, პროცესი ჭიანურდება, რასაც თავისი მიზეზები აქვს.

ევროკავშირსა და თურქეთს შორის არაერთი დაბრკოლების არსებობის მიუხედავად, უნდა აღინიშნოს, რომ მიგრანტთა კრიზისმა მხარეები უფრო ახლო დიალოგის საჭიროებასთან მიიყვანა, რისი მაგალითიც სწორედ ეს შეთანხმებაა. მან მხარეებს შორის ურთიერთობები ახალ ეტაპზე უნდა გადაიყვანოს. თავისუფალი სავიზო რეჟიმის შემოღება თურქეთის მოქალაქეებისთვის წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება ორმხრივი მოლაპარაკებების გზაზე.

როგორც აღვნიშნეთ, თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების მიმართ დიდი სკეპტიციზმი არსებობს. თურქეთსა და ევროკავშირს შორის დგას კვიპროსი, რომელიც უკვე გახლავთ ორგანიზაციის წევრი (კუნძულის ჩრდილოეთი ნაწილი არ ემორჩილება ოფიციალურ ნიკოზიას და თვითგამოცხადებულ სეპარატისტულ სახელმწიფოდ მიიჩნევა უმეტესად თურქი მოსახლეობით). კვიპროსისთვის ნებისმიერი საკითხი, რომელიც თურქეთს ეხება (და განსაკთრებით მის ურთიერთობას ევროკავშირთან), წითელ ხაზს წარმოადგენს და, როგორც დავინახეთ, ნიკოზია მზადაა, გამოიყენოს მისი წევრობა ორგანიზაციაში თურქეთის წინააღმდეგ. ასე რომ, მანამდე, სანამ კვიპროსი ორადაა გაყოფილი და თურქეთის მთავრობა კომპრომისზე წასვლას არ აპირებს, ევროკავშირის წევრობა შორეულ პერსპექტივად დარჩება, სხვა დაბრკოლებებზე, რომ აღარ ვისაუბროთ.

ამას გარდა, თურქეთს მართებს ურთიერთობის დარეგულირება ორგანიზაციის კიდევ ერთ წევრ საბერძნეთთან. ევროკავშირის შიგნით კარგად იციან, რომ დაპირისპირებული სახელმწიფოების წევრობა კარგს არაფერს მოუტანს ორგანიზაციას. სწორედ ამიტომაა ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა თურქეთისთვის მეზობლებთან ურთიერთობების დარეგულირება. თურქეთს ქვეყნის შიგნითაც გააჩნია რიგი პრობლემები (ქურთების პრობლემა, დემოკრატიის ნაკლებობა), რაც ასევე აბრკოლებს ურთიერთობების გაღრმავებას ევროკავშირთან. თავად ორგანიზაციის შიგნით კი თურქეთის წევრობაზე საკუთარი სკეპტიკური აზრი გააჩნიათ.

ევროკავშირის დიდ ქვეყნებს აშინებთ თურქეთის მზარდი მოსახლეობა და ეკონომიკა, რაც საშუალებას მისცემს თურქეთს, გაწევრიანების შემთხვევაში, ერთ-ერთ მთავარ აქტორად მოგვევლინოს და გადაფაროს საფრანგეთისა და გერმანიის როლიც კი. ევროკავშირს ასევე აფრთხობს თურქეთის მეზობლობა არასტაბილურ ახლო აღმოსავლეთთან, რაც იმას ნიშნავს, რომ თურქეთის გაწევრიანებით ორგანიზაცია მისი მეზობელი გახდება. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთის მიზანი ყოველთვის იყო ევროკავშირის წევრობა და ევროკავშირისთვისაც თურქეთი ყოველთვის წარმოადგენდა მნიშვნელოვან პარტნიორსა და დასაყრდნობს, ბოლო პერიოდში ქვეყნის მხრიდან ევროკავშირის წევრობის სურვილი განელდა.

ევროზონის კრიზისმა მაშინ, როცა თურქეთის ეკონომიკა კვლავ აგრძელებდა ზრდას, გააჩინა დიდი ეჭვი თურქეთის შიგნით, რამდენად მომგებიანი იქნებოდა გაწევრიანება. ბოლო კვლევებით ნათელი გახდა, რომ თურქეთის მოსახლეობაშიც შემცირდა ევროკავშირში გაწევრიანების მხარდაჭერა. ერდოღანის განცხადება ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ თურქეთი ევროკავშირს, როგორც ზემდგომ ორგანოს აღარ უყურებს, არამედ, როგორც მის ტოლ აქტორს. ერდოღანის მთავრობა მიუთითებს, რომ მისი ქვეყანა არ აპირებს, ევროკავშირის ყოველი თითის დაქნევაზე კუდი აქნიოს და მისი ყველა მოთხოვნა უპირობოდ შეასრულოს.

იმის განცხადება, რომ თუკი ევროკავშირი მის წინაშე არსებულ შეთანხმებებს ვერ განახორციელებს, არც თურქეთი აპირებს მისი წილი პირობის შესრულებას, მხოლოდ იმის ნიშანია, რომ თურქეთისთვის ევროკავშირში გაწევრიანება მთავარი პრიორიტეტი სულაც აღარაა. ამას ისიც ემატება, რომ მიგრანტთა კრიზისმა ევროკავშირი უფრო მეტად დამოკიდებული გახადა თურქეთზე, რაც ერდოღანის მთავრობის წისქვილზე ასხამს წყალს. ამგვარმა დამოკიდებულებამ მოგვცა ახალი რეალობა: თურქეთის სურვილისა და მზადყოფნის გარეშე ევროკავშირს ისედაც გართულებული კრიზისის მოგვარება კიდევ უფრო გაუჭირდება. კრიზისმა საკმაოდ შეცვალა არსებული სურათი. აქედან მოყოლებული არა მხოლოდ თურქეთის ცალმხრივ სურვილს ვიღებთ ევროკავშირთან ურთიერთობების გაუმჯობესებაზე, არამედ თავად ორგანიზაციაც გახდა იძულებული, იზრუნოს მასზე. ერდოღანი თავისი განცხადებებით ადასტურებს, რომ მხოლოდ თურქეთს კი არ სჭირდება ევროკავშირი (თუმცა თურქეთში ამის ირგვლის უკვე საკმაოდ დიდი კითხვის ნიშანია გაჩენილი), არამედ პირიქითაც.

BREAKING NEWS

## სტამბულში მომხდარი ტერორისტული აფეთქების შესახებ აშშ-მ წინასწარ იცოდა

სტამბულში მომხდარი ტერორისტული აფეთქების შესახებ აშშ-მ წინასწარ იცოდა

ამერიკის შეერთებული შტატების საელჩომ თურქეთის რესპუბლიკაში 9 აპრილის დილას გააფრთხილა თავისი ქვეყნის მოქალაქეები მოსალოდნელი ტერორისტული აფეთქების შესახებ სტამბულსა და ანტალიაში.

„აშშ-ს მისია თურქეთში აცნობებს ამერიკის მოქალაქეებს, რომ ტურისტულ ადგილებში არსებობს ტერორიზმის საფრთხე, განსაკუთრებით სტამბულსა და ანტალიაში. განსაკუთრებული სიფრთხილე გამოიჩინეთ თუ იმყოფებით საჯარო თავშეყრის ადგილებში ამ ქალაქებში“, - ნათქვამია განცხადებაში, რომელიც საელჩომ საკუთარ ვებ გვერდზე გამოაქვეყნა. რამდენიმე საათში ამერიკის შეერთებული შტატების სპეცსამსახურების მოლოდინები გამართლდა, სტამბულში ავტობუსის გაჩერებასთან მომხდარი აფეთქების შედეგად სულ მცირე 3 ადამიანია დაშავებული. დაღუპულები არ არიან.

თუმცა აშშ არ ყოფილა ერთადერთი ვინც მოსალოდნელი საფრთხის შესახებ წინასწარ ავრცელებდა ინფორმაციას. 8 აპრილს ისრაელმა მოუწოდა თავის მოქალაქეებს საერთოდ არ ჩასულიყვნენ თურქეთში ან გარიდებოდნენ მას რაც შეიძლება მალე.

10 აპრილიდან სტამბულში განსაკუთრებული უსაფრთხოების ზომებია მიღებული, პოლიციაა მობილიზებული მთავარ მოედნებსა და თავშეყრის ადგილებში. სნაიპერები კი მაღალი შენობებიდან აკვირდებიან შესაძლო საფრთხის ზონებს.



# საფრანგეთმა სექს-მომსახურებისთვის ფულის გადახდა არაკანონიერად მიიჩნია

სალომე ხვედელიძე

თითქმის სამწლიანი დებატების შემდეგ, საფრანგეთის ნაციონალურმა ასამბლეამ 6 აპრილს პროსტიტუცია ქალების წინააღმდეგ ერთ-ერთ ყველაზე ცუდ ძალადობის ფორმად სცნო და სექს-მომსახურებისთვის ფულის გადახდა არაკანონიერად მიიჩნია.

ახალი კანონის მიხედვით, ნებისმიერი ადამიანი, რომელიც სექს-მუშაკს მომსახურებაში ფულს გადაუხდის, იქნება არამხოლოდ დაჯარიმებული, არამედ ვალდებული, დაესწროს სემინარებს პროსტიტუციის ზიანზე. კანონის პირველად დარღვევაზე გათვალისწინებულია ჯარიმა 1,500 ევროს ოდენობით, ხოლო დარღვევის განმეორებით დაფიქსირების შემთხვევაში, აღნიშნული ჯარიმა 3,750 ევრომდე იზრდება და აისახება ჩანაწერში პიროვნების კრიმინალურ წარსულზე.

საფრანგეთის პარლამენტმა აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა ჯერ კიდევ 2013 წელს დაიწყო, თუმცა რამდენიმე მოსმენის შემდეგ საბოლოო ხმის მიცემა გადავადდა პარლამენტის ზედა პალატისა (სენატი) და ქვედა პალატის (ნაციონალური ასამბლეა) შეუთანხმებლობის გამო. კანონპროექტის საბოლოო ვერსია სწორედ 64 ხმით 12 ხმის წინააღმდეგ 6 აპრილს დამტკიცდა - წინა სამი კანონპროექტი 2013-2016 წლებში სენატის მიერ იქნა უარყოფილი. აღსანიშნავია, რომ 577 დეპუტატიდან, უმრავლესობამ ხმის მიცემაში მონაწილეობა არ მიიღო.

ამ ცვლილებით საფრანგეთი იმ სულ რამდენიმე ევროპული სახელმწიფოებიდან ერთი-ერთი ხდება, რომლებმაც ჩრდილოების მოდელის იმპლემენტაცია მოახდინეს. ამ მოდელის მიხედვით, სექს მუშაკების მაგივრად, დასჯის ობიექტები მომხმარებლები ხდებიან. პროსტიტუციაში ჩართული ქალები, ბავშვები და მამაკაცები კი სოციალურ მხარდაჭერას მიიღებენ. ჩრდილოეთის მოდელით ხელმძღვანელობენ ისეთი ქვეყნები, როგორიცაა ნორვეგია, შვედეთი და ისლანდია, ხოლო მსგავსი ან ნაწილობრივ იგივე კანონები არის გაერთიანებული სამეფოს ნაწილში ჩრდილოეთ ირლანდიის სახით, დანიასა და ფინეთში.

სოციალისტმა პარლამენტარმა მოდ ოლივიემ, რომელიც ინიციატორი გახლდათ, განაცხადა, რომ პროექტის მიზანია იმ სექს-მუშაკების დაცვა, რომლებსაც ბიზნესის დატოვება სურთ. "ჩვენ არ შეგვიძლია მივიღოთ ის რეალობა, სადაც სხეული იყიდება იმიტომ, რომ ვიღაცას ფული აქვს, მეორეს კი ფინანსურად უჭირს და საპროსტიტუციო ქსელში იმის გამოა ჩართული, რომ პრობლების მოგვარების სწრაფ გზებს ეძებს და არ აქვს სხვა გამოსავალი. ჩვენ უნდა შევცვალოთ საზოგადოებაში გაბატონებული აზრი, თითქოს პროსტიტუცია არის საჭირო ბოროტება, რომელიც ნებაყოფლობით არჩევანზეა დაფუძნებული." პარლამენტში სოციალისტების ჯგუფის ხელმძღვანელის, ბრუნო ლე რუს განცხადებით კი, ჩვენ „არ უნდა ვიქირაოთ ქალი, როგორც მანქანას ვქირაობთ. ჩვენი საზოგადოება აღარ უნდა შეეგუოს ამას."

კანონპროექტს დადებითად ეხმაურებიან სხვა ოფიციალური პირებიც. საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა მანუელ ვალმა თვითერზე დაწერა მესიჯი, სადაც ამბობდა, რომ ახალი კანონპროექტი „წინ გადადგმული დიდი ნაბიჯი" იყო ქალების უფლებებისთვის. ქალთა უფლებების დაცვის მინისტრმა კი, ლორანს როსინიოლმა, ხმის მიცემის პროცედურამდე ნაციონალურ ასამბლეას მიმართა სიტყვით, რომელშიც ამბობდა, რომ პროსტიტუცია „ქალის მიმართ ძალადობაა" და ამ პრობლემასთან გამკლავების ახალი ზომა გზავნილი იქნებოდა ყველა სექს-მუშაკისთვის - „სახელმწიფო, პარლამენტი და საზოგადოება, როგორც იქნა, აღიარებს საპროსტიტუციო სისტემის ძალადობას."

თუმცა ზოგიერთ ოფიციალურ პირთან ერთად, კანონპროექტს ეწინააღმდეგებიან სექს-მუშაკებიც, რომლებმაც აქცია გამართეს და ინიციატივას „რეპრესიული" უწოდეს. კანონპროექტის მიხედვით, 4.8 მილიონი ევროს ოდენობის თანხა გამოყოფილი იქნება სექს მუშაკების მხარდაჭერისთვის, რათა თავი დააღწიონ პროსტიტუციას და იმისთვის, რომ კანონდამრღვევებად კლიენტები განიხილებოდნენ. შთაAშშ სექს მუშაკთა გაერთიანება ფიქრობს, რომ კანონი 30-40 ათას სექს მუშაკს უფრო დაუცველს გახდის და სასიკეთო ცვლილებებს ვერ მოიტანს.

ბუნებრივია, ის ფაქტი, რომ ახალი კანონპროექტი წლების განმავლობაში დავის საგანი იყო, მოწმობს იმას, რომ სახელმწიფო სტრუქტურებში, ისევე როგორც საზოგადოებაში, მას ჯერ კიდევ სკეპტიკურად უყურებენ, ჩრდილოეთის მოდელი კი კრიტიკის საგანი ხდება. ახალი კანონპროექტის მოწინააღმდეგე მხარე საუბრობს იმაზე, რომ ამან, შესაძლოა, უფრო მეტად შეუწყოს ხელი სექს-მუშაკების მიერ მომსახურების ფარულად გაწევას, რაც მათ უსაფრთხოებას უქმნის საფრთხეს.

> „პრობლემები სინამდვილეში არ გვარდება და მიწისქვეშ გადადის, რაც უფრო ამძიმებს და თან უხილავს ხდის პრობლემას. დარწმუნებული ვარ, ასე იქნება ამ შემთხვევაშიც. სექს-მუშაკი ქალები კიდევ უფრო დაუცველები და მარგინალიზებულები გახდებიან, რადგან მიწისქვეშეთში აღმოჩენილი ინდუსტრია მეტად კრიმინალური, ძალადობრივი და უკონტროლოა,"
> - იდა ბახტურიძე

იდა ბახტურიძე, ფემინისტების დამოუკიდებელი ჯგუფის წევრი და WECF Georgia-ის კოორდინატორი, ამბობს, რომ „შვედური მოდელი" (შვედეთში ის 1999 წელს შემოიღეს) „სახელმწიფოს მხრიდან პრობლემის მოგვარების არაეფექტური, პოპულისტური და საშიში მიდგომაც კი არის, სექს ინდუსტრიაში ჩაბმული ქალებისთვის."

„პრობლემები სინამდვილეში არ გვარდება და მიწისქვეშ გადადის, რაც უფრო ამძიმებს და თან უხილავს ხდის პრობლემას. დარწმუნებული ვარ, ასე იქნება ამ შემთხვევაშიც. სექს-მუშაკი ქალები კიდევ უფრო დაუცველები და მარგინალიზებულები გახდებიან, რადგან მიწისქვეშეთში აღმოჩენილი ინდუსტრია მეტად კრიმინალური, ძალადობრივი და უკონტროლოა," - ამბობს ის.

უნდა ითქვას, რომ სტოკჰოლმის სახელმწიფო სააგენტოს კვლევის თანახმად, 1995 წლიდან პროსტიტუცია განახევრდა, ხოლო იმ მამაკაცების რაოდენობა, რომლებიც ამბობენ, რომ სექს მომსახურებაში ფული გადაუხდიათ, 40%-ით შემცირდა. არსებული კვლევა თანხვედრაშია შვედეთის მთავრობის 2010 წლის ოფიციალურ ანგარიშთან, რომელიც მოწმობს, რომ მიღებულმა კანონმა შეამცირა ტრეფიკინგი და შეცვალა დამოკიდებულება სექს მომსახურების მიმართ.

ამის მიუხედავად, ახალი კანონის საწინააღმდეგო არგუმენტები მაინც არსებობს და გენდერის სპეციალისტი იდა ბახტურიძეს სწორედ ამაზე საუბრობს. მისი თქმით, ეს რეალობა არ არის რელევანტური არც საფრანგეთისთვის და არც სხვა ქვეყნისთვის.

„შემცირებული სტატისტიკა ყოველთვის არ ნიშნავს პრობლემის მასშტაბების შემცირებას, მით უფრო, თუ ეს სტატისტიკა ეხება არალეგალურ საქმიანობას. ლოგიკურია, რომ ანდერგრაუნდში გადასული საქმიანობის სტატისტიკის წარმოება, ბევრად რთული ხდება და შემცირებაც, შესაძლოა, აქედან გამომდინარე იყოს", - აცხადებს ფემინისტრი აქტივისტი და მიუთითებს იმ ფაქტზეც, რომ აღნიშნულ ქვეყნებში გაიზარდა ინტერნეტ პროსტიტუცია, ქუჩის პროსტიტუციის შემცირების პარალელურად, ანუ სინამდვილეში, შესაძლოა, შეიცვალა მხოლოდ ფორმები და პრობლემა რჩება პრობლემად."

მალმოს უნივერსიტეტის სექსუალური განათლების შვედური ასოციაციის თანახმადაც, პროსტიტუციის მონაცამების შემცირებაში მობილურმა ტელეფონებმა და ინტერნეტმა დიდი როლი ითამაშა: „კლიენტები" და სექს მუშაკები ერთმანეთს ელექტრონულად უკავშირდებიან. კითხვები ჩნდება უსაფრთხოებაზეც: კანონის მოწინააღმდეგეები იმასაც ამბობენ, რომ ის აიძულებს ქალებს უფრო მალე ჩასხდნენ მანქანაში მამაკაცთან და არ აქვთ დრო, დარწმუნდნენ იმყოფება ის ალკოჰოლის ზეგავლენის ქვეშ თუ არა, ან ნარკოტიკების გავლენის ქვეშ ხომ არაა.

იდა ბახტურიძის თქმით, შემცირებული სტატისტიკა კავშირში რომც იყოს პრობლემის მოგვარებასთან და პროსტიტუციის რეალურ შემცირებასთან, შვედეთის მაგალითი მაინც ვერ გამოდგება ყველა დანარჩენი ქვეყნისთვის.

„არც საფრანგთი და არც ბევრი სხვა ქვეყანა არ არის შვედეთისნაირი სოციალური კეთილდღეობის ქვეყანა. იქ, სადაც შენს მოქალაქეს ვერ შეუქმნი ალტერნატიული შემოსავლისა თუ ღირსეული ცხოვრების სხვა პირობებს, გამოსავლად იმ წყაროს შეზღუდვა არ უნდა შესთავაზო, რითიც დღეს ცხოვრობს, თან ისე, რომ სექს-მუშაკებს არ ჰკითხო რა ურჩევნიათ," - ამბობს იდა ბახტურიძე და ამატებს, რომ აკრძალვის გამოსავლად შემოსაღება არის ტყუილი სახელმწიფოს მხრიდან.

ასეა თუ ისე, როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, ბოლო დროს სახელმწიფოების მხრიდან პროსტიტუციაზე რეაგირების ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მიდგომა არსებობს: პროსტიტუციის ლეგალიზება ან მისი კანონით აკრძალვა. ლეგალიზებაც, ისევე, როგორც მისი აკრძალვა, აჩენს უამრავ კითხვას. პროსტიტუციაში ჩაბმა ხომ ხშირად ნებაყოფლობითი არ არის, ხშირად დაკავშირებულია ტრეფიკინგთან და ბავშვების პროსტიტუციაში ჩაბმასთან.

თანაც, პროსტიტუცია ერთგვარი ფულადი ექსპლუატაციაა და ძალადობის კულტურის სათავეშია მოქცეული. ცხადია, როცა გამოკითხულთა 90 პროცენტზე მეტი ამბობს, რომ არჩევანის ქონის შემთხვევაში, ამ საქმიანობაში არ ჩაებმებოდნენ, მოწმობს, რომ სახელმწიფომ არ უნდა აირიდოს თავიდან პასუხისმგებლობა და პრობლემის აღმოფხვრის ეფექტური და შესაძლოა, ახალი გზებიც კი უნდა ეძებოს.

# ქვეყნის უმსხვილესი ინვესტორი საქართველოს მთავრობას ანგარიშს აბარებს

8 აპრილს მთავრობის წევრები ვიცე-პრემიერი/ენერგეტიკის მინისტის კახა კალაძის მეთაურობით ქვეყნის უმსხვილესი ინვესტორის „აჭარისწყალი ჯორჯიას“ (AGL) ანგარიშს დაესწრნენ. ღონისძიებას ასევე ესწრებოდნენ, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების წარმომადგენლები (EBRD, ADB, IFC) და ენერგო სექტორში მომუშავე ექსპერტები.

ღონისძიება ენერგეტიკის სამინისტროსა და ენერგოკომპანია აჭარისწყალი ჯორჯიას (AGL) ერთობლივი ორგანიზებით გაიმართა. ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდნენ ვიცე-პრემიერი, საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე, კომპანია ,,აჭარისწყალი ჯორჯიას“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე კირე ოლაფ იოჰანსენი, კომპანიის აღმასრულებელი დირექტორი რონი სოლბერგი.

კომპანია „აჭარისწყალი ჯორჯია“ საქართველოში ერთ-ერთ უმსხვილეს საინვესტიციო ინფრასტრუქტურულ პროექტს, შუახევიჰესის მშენებლობას ახორციელებს. კომპანია ერთობლივი საწარმოა შექმნილი ინდური კომპანია თატა ჭოწერ-ის ნორვეგიული კომპანია Clean Energy–ის და საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია IFC-ის მიერ. ინვესტიციის მოცულობა შეადგენს 416 მილიონ ამერიკულ დოლარს. პროექტის ფარგლებში დასაქმებულია 730 საქართველოს მოქალაქე. შუახევიჰესის სამშენებლო სამუშაოების 75 პროცენტი დასრულებულია, მიმდინარე წლის შემოდგომაზე კი პროექტი მთლიანად სრულდება და გაზაფხულიდან ჰესი ოპერირებას დაიწყებს, რის შემდგომაც საქართველოს ელექტროსისტემას 187 მეგავატი სუფთა ენერგიის მწარმოებელი სადგური შეემატება, რაც თვის წვლილს შეიტანს ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობისკენ სვლის პროცესში.

,,აჭარისწყალი ჯორჯიას“ საქმიანობა მაღალმთიან აჭარაში მხოლოდ ჰესის მშენებლობით არ შემოიფარგლება. კომპანია სოციალური პასუხისმგებლობის მაღალი სტანდარტით, ხელს უწყობს აჭარის რეგიონის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას და პროექტის არეალში მცხოვრები ადამიანების ცხოვრების დონის გაუმჯობესებას. კომპანია მაღალმთიანი აჭარის გრძელვადიანი განვითარების მიზნით ახორციელებს სოციალურ პროექტებს რეგიონისათვის პრიორიტეტული მიმართულებებით: განათლება და ცნობიერების ამაღლება, თემების გაძლიერება და ინფრასტრუქტურული პროექტები.

პროექტის დასრულების შემდგომ კომპანია ყოველწლიურად მილიონობით ლარს შეიტანს ადგილობრივ ბიუჯეტში (მოგების გადასახადი - 10%), რაც პირდაპირ აისახება და გააუმჯობესებს აჭარის რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ უზრუნველყოფას. კომპანია ,,აჭარისწყალი ჯორჯია“ მოწოდებულია დაიცვას გარემო , პროექტის მშენებლობის არეალში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე, როგორც მშენებლობის ფაზაზე ასევე მისი ექსპლუატაციაში შესვლის შემდგომ.

გარემოზე ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირების მიზნით კომპანია ახორციელებს შემარბილებელ და საკომპენსაციო ღონისძიებებს. ყოველდღიურ საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობის, საერთაშორისო სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად.

შუახევიჰესის პროექტი პირველი ჰიდროენერგეტიკული პროექტია საქართველოში, რომელიც სერთიფიცირებულია გაეროს ჩარჩო კონვენციის კლიმატს ცვლილებების შესახებ ნახშირბადის გამოყოფის შესამცირებლად. შუახევიჰესი გამოიმუშავებს 450 გიგავატ/საათ ელექტროენერგიას და უზრუნველყოფს სათბური გაზების შემცირებას წელიწადში 200 000 ტონაზე მეტით.

„დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებას აღვნიშნავთ. ეს არის უზარმაზარი ნაბიჯი ჩვენი ენერგეტიკის განვითარების საქმეში. ჩვენი მიზანია, მოხდეს ენერგო რესურსების რაციონალური ათვისება, რათა ხელი შევუწყოთ ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობის უზრუნველყოფას. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებსა და წამყვან კომპანიებთან თანამშრომლობა უმნიშვნელოვანესი საწინდარია საქართველოს ეკონომიკის განვითარებისათვის, რომელიც ენერგეტიკის სექტორის განვითარებასთან მჭიდრო კავშირშია“, - განაცხადა ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას კახა კალაძემ.

„ჩვენ მიგვაჩნია, რომ შუახევიჰესის წარმატება ნიშნავს მაღალმთიანი აჭრის გრძელვადიან განვითარებას. სოციალური პასუხისმგებლობა ჩვენთვის პრიორიტეტია, სწორედ ამიტომ, 70-ზე მეტ სოციალურ პროექტს ვახორციელებთ მაღალმთიან აჭარაში. ვაშენებთ გზებს, წყლის სისტემებს, ვახორციელებთ სკოლების და ბაღების რეაბილიტაციას, ადგილობრივი მასწავლებლებისთვის და მოსწავლეებისთვის მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროექტები. გარდა ამისა რაც ჩემთვის ძალიან საამაყოა, ვეხმარებით ადგილობრივ მცირე ბიზნესს განვითარებაში, როგორც თეორიული სწავლებით ასევე ფინანსურად. ჩვენი მთავარი მიზანია შუახევიჰესის მშენებლობის პარალელურად განვითარდეს რეგიონი სადაც ჩვენ საქმიანობას ვეწევით.“ - განაცხადა ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას კომპანიის აღმასრულებელიმა დირექტორმა რონი სოლბერგმა.

# დიმიტრი ქუმსიშვილი ტურიზმის სექტორს ფასების დარეგულირებაში სიფრთხილისკენ მოუწოდებს

საქართველოს ვიცე-პრემიერის, დიმიტრი ქუმსიშვილის განცხადებით, ტურიზმის მიმართულებით საქართველოზე მოთხოვნა მკვეთრად არის გაზრდილი, რაც რამდენიმე გამოკვლევის მიხედვით დასტურდება.

„შარშანდელთან შედარებით წელს გაცილებით მეტ შემოსავალს ველოდებით ტურიზმიდან. 2015 წელს ტურიზმმა დააგენერირა მილიარდ ცხრას ოცდათხუთმეტი მილიონი დოლარი, რაც 2014 წელთან შედარებით 148 მილიონი დოლარით მეტია“, - განაცხადა ქუმსიშვილმა.

მინისტრმა ტურიზმის სექტორს მოუწოდა, რომ ძალიან ფრთხილები იყვნენ ფასებთან მიმართებაში, რადგან მეზობელი ქვეყნები ტურიზმის კუთხით საკმაოდ კონკურენტულები არიან.

„შესაბამისად, უნდა გვახსოვდეს, რომ ფასისა და სერვისის შესაბამისობა არის ძალიან მნიშვნელოვანი იმისთვის, რომ არ დავკარგოთ ტურისტები“, - აღნიშნა ეკონომიკის მინისტრმა.

მისი თქმით სამინისტრო აქტიურად მუშაობს არაერთ ავიაკომპანიასთან, რომ რაც შეიძლება მეტი სტუმარი ჩამოვიდეს და რაც შეიძლება იაფი ღირდეს ბილეთი. ქუმსიშვილმა ისიც დაანონსა, რომ ივნისის თვეში უკვე იქნება განახლებული ასაფრენ-დასაფრენი ზოლი, ხოლო მანამდე, მთელი ამ პერიოდის მანძილზე, საკმაოდ დაძაბული გრაფიკია აეროპორტში, რადგან საღამოს რვა საათიდან დილის ათ საათამდე ხდება სტუმრების მიღება.

გარდა ამისა, ტურიზმის ეროვნული სააგენტოს ბიუჯეტიდან მაქსიმალურ მხარდაჭერას ექნებათ ისეთ პროექტებს, როგორიც არის Cჰეცკ ინ ჩეორგია, რომ რაც შეიძლება მეტი ტურისტის მოზიდვა მოხდეს.

# გარდაბნის მუნიციპალიტეტში მზის ენერგიის პოტენციალის შესწავლა იწყება

8 აპრილს გამართულ მთავრობის სხდომაზე მოიწონეს მემორანდუმის პროექტი, რომელიც საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსა და კომპანია „მზის ენერგიის კომპანიას“ შორის დაიდო. სამინისტროს განმარტებით მემორანდუმი ითვალისწინებს გარდაბნის მუნიციპალიტეტში, ქალაქ გარდაბნისა და სოფელ კალინინოს ტერიტორიაზე მზის პოტენციალის შესწავლას. კონკრეტულად, ელექტროსადგურის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური საკითხების შესწავლას - შემდგომში მისი მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების მიზნით.

მემორანდუმის თანახმად კომპანია 12 თვის განმავლობაში გარდაბნის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩაატრებს ტექნიკურ-ეკონომიკურ კვლევას და საჯარო განხილვებს, მოამზადებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს და ელექტროსადგურის მშენებლობის შესახებ შესაბამის წინადადებას წარუდგინეს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს.

ამერიკულ კომპანია „Headwall Power International”-ს, რომლის წარმომადგენელი საქართველოში „მზის ენერგიის კომპანიაა“, დიდი საერთაშორისო გამოცდილება აქვს ალეტერნატიული ენერგიების მიმართულებით.

# წყალში გადაყრილი მილიონები თუ მომავლის ინვესტიცია

გვანცა სილიკაშვილი

საქართველოს მთავრობა რეგიონებში მცირე და საშუალო ბიზნესების განვითარების გარდა სტარტაპების დაფინანსებითაც დაინტერესდა. „უკვე განსაზღვრულია 30-35 მილიონი ლარის მოცულობის ფონდი, რომელიც თბილისსა და რეგიონებზე განაწილდება“,- განაცხადა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა. დეტალების გარკვევა სამინისტროსთან ვცადეთ, მაგრამ დამატებითი ინფორმაციის მოწოდებაზე უარი განაცხადეს.

ტერმინი „სტარტაპი“ ბოლო წლებში უფრო აქტიურად გვესმის და საერთაშორისო განმარტებით ახალ დაწყებულ ბიზნეს გულისხმობს, რომელსაც არ გააჩნია გარკვეული რაოდენობის მატერიალური თუ ადამიანური რესურსი. საქართველოში კი, როგორც „ჯეოლაბის“ რექტორი სანდრო ასათიანი აღნიშნავს, ამ ტერმინში ინოვაციური კომპონენტის მქონე ძირითადად ახალ ტექნოლოგიებთან დაკავშირებულ კომპანიებს გულისხმობენ.

ეკონომიკის მინისტრის ინიციატივა მხოლოდ ტექნოლოგიის სფეროს სტარტაპებს შეეხება თუ ზოგადად ბიზნეს სტარტაპებს ამ ეტაპზე უცნობია, თუმცა 2016 წლის იანვარში ტენოლოგიური პარკის გახსნისას მთავრობამ ინოვაციური ტექნოლოგიები ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად გამოაცხადა.

„ეკონომიკური სწრაფი ზრდა შეუძლებელია ინოვაციაზე, კვლევასა და განვითარებაზე დაფუძნებული დარგების განვითარების გარეშე“, - განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

ამ მიზნით ჯერ კიდევ 2013 წელს, როდესაც კვირიკაშვილი ეკონომიკის მინისტრი იყო, მისი ხელშეწყობით შეიქმნა „ინოვაციური ტექნოლოგიების სააგენტო“. ამ უწყების ერთ-ერთი ფუნქცია სწორედ სტარტაპების დახმარება იყო და 15-მდე სტარტაპი მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსდა. შემდეგ ეს პროცესი შეჩერდა, რადგან თანხა არ დაუმტკიცდა. „ინოვაციური ტექნოლოგიების სააგენტოს“ დაფუძნების ერთ-ერთი მონაწილე, თემურ მაისურაძე ვარაუდობს, რომ პრემიერი შეჩერებულ პროცესს ანახლებს.

ეკონომიკის მინისტრის ახალ ინიციატივას „ოზზერვერთან“ საუბრისას დადებითად აფასებს ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში, ლია ელიავა: „სტარტაპებისთვის ხელის შეწყობა ცუდი ინიციატივა არაა. მიუხედავად იმისა, რომ ამ თანხის დიდი ნაწილი წყალში გადაყრილი იქნება და სტარტაპების 85-90% პროცენტი არ გაამართლებს, ნაწილი რომელიც დარჩება და განვითარდება ქვეყნისთვის ძალიან სასარგებლო იქნება.“

ისეთი განვითარებადი ქვეყნისთვის, სადაც შიდა წარმოება დაბალია, სტარტაპების ზრდა და განვითარება მნიშვნელოვანია. სახელმწიფო, შეიძლება ითქვას, სტარტაპების დაფინანსებისას, ახორციელებს ერთგვარ ინვესტიციას, რადგან წარმატების შემთხვევაში სტარტაპი მსხვილ ბიზნესად იქცევა.

უნდა აღინიშნოს, რომ სტარტაპების დაფინანსების ინსტიტუტი უცხოეთში მიღებული და უკვე აპრობირებული მეთოდია. მონინავე ქვეყნებში სახელმწიფო მათ დასაფინანსებლად მილიარდებსაც კი ხარჯავს. რაც მიგვაანიშნებს, რომ მსგავსი პროცესი ერთნაირად საჭირო და სასარგებლოა როგორც სტარტაპებისთვის, ასევე თავად სახელმწიფოსთვისაც.

სტარტაპების დაფინანსებას, რა თქმა უნდა, მთლიანად სახელწიფო ვერ აიღებს. საზღვარგარეთ ამ სფეროში ჩართულები არიან ბიზნესის წარმომადგენლებიც. რაც საქართველოში პრობლემას წარმოადგენს. „საქართველოს ტექნოლოგიური სტარტაპების ასოციაციის“ წევრი, დავით ველიაშვილი ამ საკითხზე საუბრისას აღნიშნავს, რომ მაღალი რისკის გამო საქართველოში ბიზნესმენები თავს არიდებენ სტარტაპების დაფინანსებას.

დაფინანსების კიდევ ერთი წყარო საბანკო სესხია, თუმცა ქართველი სტარტაპებისთვის ეს გზაც მოჭრილია. პრაქტიკულად, შეზღუდული რჩება ბიზნესისთვის სესხებთან წვდომა, განსაკუთრებულად მცირე და საშუალო ზომის საწარმოსთვის. სტარტაპებისთვის კი საერთოდ არ გაიცემა სესხი. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ საქართველოში ბანკები ფოკუსირებული არიან მოკლევადიან სესხებსა და დიდ მოგებებზე. მსგავსი ტიპის სესხები კი მათთვის სარისკოა.

იმ პირობებში, როცა ბიზნეს იდეისთვის დაფინანსების მოპოვება რთულია და მსგავსი საქმიანობისთვის ბანკებიც არ გასცემენ თანხას, დაანონსებული ინიციატივა ერთიორად საჭირო ხდება. სწორედ ამაზე საუბრობს ერთ-ერთი სტარტაპის წარმომადგენელი, სტუდენტი თინა ოსაძე. მან მეგობრებთან ერთად პროექტის „დაიწყე ბიზნესი ფაბლაბთან ერთად“ ფარგლებში ხელნაკეთი ჩანთების ბრენდი „პოპულუსი“ შექმნა, რომელსაც ანალოგი არ აქვს.

„ხის ჩანთებს ეროვნული კულტურის გათვალისწინებით დავუმატეთ ხევსურული ნაქარგი. ვფიქრობდით ეს განმასხვავებელი ნიშანი პროდუქტს უფრო საინტერესოს გახდიდა და თავის დამკვიდრებაშიც დაგვეხმარებოდა. სპონსორის ძებნაში დიდი დრო არ დაგვიკარგავს. ერთი-ორი უშედეგო ცდის შემდეგ გადავწყვიტეთ, თვითდაფინანსებით გვემუშავა. რთულია ვინმეს დააფინანსებინო ისეთი რამ, რაც არ არსებობს.“

„პოპულუსის“ შემთხვევაში ეს შესაძლებელი აღმოჩნდა იმდენად, რამდენადაც საწყისი კაპიტალისთვის 400 ლარი იყო საჭირო. თუმცა სამუშაოს მატებასთან ერთად თანხაც მეტი ხდება საჭირო, მით უფრო, რომ სამუშაო ფართი არ აქვთ და საქმიანობას სახლებში აგრძელებენ. სწორედ ამიტომ, თინას აზრით, სახელწიფოს შემოთავაზებული ინიციატივა სტარტაპებისთვის მნიშვნელოვანია: „ ძალიან კარგი იქნებოდა საწყის ეტაპზე, სანამ კომპანია ჩამოყალიბდება მთავრობა გარკვეული პერიოდი ფინანსურად ეხმარებოდეს“.

სტარტაპების პრობლემას დაფინანსების გარდა გადასახადებიც წარმოადგენს, ვინაიდან მსხვილ და მცირე ბიზნესს შემოსავალი ერთნაირად ებეგრებათ. როგორც ეკონომისტმა ლია ელიაშვილმა აღნიშნა, მსოფლიო პრაქტიკაში სტარტაპები 2-3 წლის განმავლობაში მსგავსი გადასახადისგან თავისუფლდებიან. თუმცა ამ მხრივ საქართველოს მთავრობა მუშაობს და 2017 წლიდან იგეგმება მოგების რეინვესტირების მოდელის შემოღება.

საუბარია, იანვარში პრემიერ მინისტრის განცხადებაზე, რომლის მიხედვითაც მთავრობა აქტიურად მუშაობს საგადასახდო ლიბერალიზაციის კუთხით და საქართველოში ესტონური მოდელის დამკვიდრებას აპირებს. რაც ნიშნავს, რომ მოგება, რომელიც შეიქმნება კომპანიაში, ეკონომიკაში დაიბეგრება. კომპანიები, რომლებიც მოგებას ისევ კომპანიას მოახმარენ ანუ რეინვესიტირებას მოახდენენ, გადასახადისგან გათავისუფლდებიან.

გარდა ზემოთხსენებული სირთულეებისა, დამოუკიდებლად იდეის განხორციელება არც ისე მარტივია. როგორც აღმოჩნდა, ამ კუთხითაც არსებობს შესაძლებლობები, რომელიც სწორედ დამწყებთათვისაა. ერთ-ერთი მათგანია საერთაშორისო მეწარმეობისა და ინოვაციების ქსელი I-HUB, რომელიც გასულ წელს გაიხსნა.

I-HUB ესაა ე.წ. ინოვაციების ჰაბი; გარკვეული საწევროს გადახდის შემდგომ, იგი თავის სამუშაო სივრცეში იღებს ინოვაციებთან და მეწარმეობასთან დაკავშირებულ სტარტაპს და უწევს დახმარებას, მენტორობას, რათა სტარტაპი სრულყოფილ ბიზნესად ჩამოყალიბდეს.

სტარტაპების ერთ-ერთ ხელშემწყობ პროგრამას წარმოადგენს ჩამეფოუნდერს, თამაშების ინდუსტრიაში. მასში დაფინანსების და კონსულტაციების გარდა გუნდების პრომოუშენიც შედის. ჩამეფოუნდერს არის ერთ-ერთი იმ აქსელერატორ პროგრამებს შორის, რომელში მოხვედრა ქართულ კომპანიებსაც შეუძლიათ.

რაც შეეხება მცირე და საშუალო ბიზნესებს ამ კუთხით მთავრობის მხრიდან ხელშეწყობის მცდელობა 2014 წლიდან არსებობს. „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აქვს საშუალება საქართველოს რეგიონებში მოიპოვონ თანადაფინანსება იდეის განსახორციელებლად. ბაია აბულაძე ერთ-ერთი მათგანია, რომელმაც პროექტის ფარგლებში თავისი ღვინის ბრენდის „ბაიას ღვინოს“ შექმნა შეძლო. „ოზზერვერთან“ საუბრისას მან სტარტაპებს ურჩია, ფიქრი და ძალისხმევა არ შეეწვიტათ იდეის განსახორციელებლად.

„ეს ჩვენი ოჯახის დიდი ტრადიციაა და მეც ბუნებრივად ჩავერთე. სირთულეები ბევრია- ფიზიკური შრომა, თანხები,გაყიდვა, ბუნებაზე ხარ დამოკიდებული, ახალი მეთოდების შესწავლა. პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ ძალიან დაგვეხმარა, რომ ოჯახური ბიზნესი ბრენდად გვექცია.“

თუმცა, პროგრამა მხოლოდ რეგიონებზე და წარმოებაზეა გათვლილი, რაც ძირითადად ითვალისწინებს ისეთი მეწარმის დაფინანსებას, რომელსაც აქვს ან უკვე ჰქონდა ბიზნესი და მისი განვითარება სურს.

ეკონომიკის მინისტრის ახალი ინიციატივით კი თანხა სავარაუდოდ, სწორედ დამწყებთათვის იქნება განკუთვნილი. რაც გზას უხნის ინოვაციური იდეის მქონე ადამიანთა ნაწილს, შეძლონ მისი ხორცშესხმა, ფინანსური ზრდა და ხალხის დასაქმება.

# ქართულ-გერმანული კომპანია „AD GROUP” თბილისში პირველ მაღაზიას ხსნის

„ჩემი გერმანული სახლი“ ბახტრიონის 12-ში, 9 აპრილს გაიხსნა და ლენტის გაჭრის წუთებიდანვე მაღაზია ხალხით სავსეა. მომხმარებლის განსაკუთრებულ ინტერესს გერმანული ხარისხი და ხელმისაწვდომი ფასები იწვევს.

მყუდრო გარემომ და მაღაზიაში წარმოდგენილი ბრენდების ავთენტურობამ ზოგიერთებს გერმანიაში ყოფნის პერიოდი და საყიდლებზე სიარული გაახსენა. პირადი მოხმარების თუ ოჯახისთვის საჭირო ნივთები უკვე ასობით მომხმარებელმა შეიძინა, რომელთაც ვერ შეძლეს გულგრილად ჩაევლოთ გერმანული დროშის ფერებით გაფორმებული მაღაზიის ვიტრინისთვის.

გერმანული პროდუქცია და აქ შექმნილი ატმოსფერო გაგრძნობინებთ, რომ ეს ის ადგილია სადაც ყოველთვის მოგინდება შესვლა და ამ სიმყუდროვის საკუთარ სახლში გადატანა. მაღაზიაში წარმოდგენილია გერმანიაში წამყვანი ბრენდები: Tchibo, Nur Die და ა.შ.

ქართულ-გერმანული კომპანია „ად ჯგუფის“ პირველი მაღაზია თბილისში უკვე იმდენად დიდ ინტერესს იწვევს, რომ შესაძლოა მომავალში მაღაზიის ფილიალები დედაქალაქის სხვა უბნებშიც ვიხილოთ, რაც გერმანული პროდუქციის მოყვარულებისთვის ნამდვილად დიდი საჩუქარი იქნება.

# „ბრიჯ-ინოვაცია და განვითარება“ გენდერულად სენსიტიური საზოგადოების საჭიროებების კვალდაკვალ

თამარ უმფრიანი EXCLUSIVE

საქართველოში გენდერული მეინსტრიმი დღითიდღე აქტიურდება, თუმცა ცოტას თუ ესმის მისი მნიშვნელობა და საჭიროება. გენდერულად სენსიტიური საზოგადოების შექმნის აუცილებლობაზე „ოზზერვერი“ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია „ბრიჯ-ინოვაცია და განვითარების“ პროგრამის მენეჯერს ნინო ჯანაშიას ესაუბრა. 29 მარტს, სწორედ აღნიშნული ორგანიზაციისა და ბრიტანული საქველმოქმედო ორგანიზაცია ოქსფამის საქართველოს წარმომადგენლობის მხარდაჭერით გაიმართა კონფერენცია თემაზე: გენდერი და სასურსათო უსაფრთხოება კონფერენციაზე სტუმრები გაეცნენ სასურსათო უსაფრთხოების კონცეფციის გენდერული ანალიზის შედეგებს, ნუტრიციის საკითხებისადმი გენდერულად სენსიტიურ მიდგომებს, ასევე დარგის ექსპერტებისგან მოისმინეს მოხსენებები სოფლის მეურნეობაში ქალთა მონაწილეობის არსებული ბარიერებისა და ეკონომიკური საჭიროებების შესახებ.

**რამ განაპირობა ახალი ორგანიზაციის ჩამოყალიბება და რამდენად ურთიერთ დაკავშირებულია ბრიჯისა და ოქსფამის საქმიანობა?**

ბრიჯ-ინოვაცია და განვითარება არის ახალი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც შეიქმნა 2015 წელს სწორედ ოქსფამის მიერ იმისთვის, რომ ადგილობრივი ორგანიზაციის ფარგლებში მომხდარიყო იმ პროექტების გაგრძელება, რასაც ოქსფამი უკვე 22 წელია საქართველოში ძალიან წარმატებით ახორციელებს.

ბრიჯი გააგრძელებს ოქსფამის საქმიანობის ხაზს და იგივე სამუშაოს, რასაც ოქსფამის აკეთებდა წლების მანძილზე. ეს არის ძირითადად სიღარიბესთან ბრძოლა, სოციალურად დაუცველი მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერა, განსაკუთრების სოფლის მეურნეობის განვითარების მხარდაჭერა. გარდა ამისა ვიწყებთ ახალ პროექტს, რომელიც ასევე ოქსფამის ხაზის გაგრძელებაა და მისი მხარდაჭერით განხორციელდა აჭარის მაღალმთიან რეგიონებში. ეს არის ბუნებრივი კატასტროფების რისკების მართვა და მის რეპლიკაციას უკვე ჩვენ კახეთსა და მცხეთა - მთიანეთის რეგიონში მოვახდენთ. ჩვენ ასევე ვმუშაობთ ზოგადად ადამიანის უფლებების და გენდერული თანასწორობის თემაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა ჩვენს პროექტში რასაც ვაკეთებთ გენდერული თანასწორობის დ ადამიანის უფლებების პრინციპების ინტრეგრირებას ვცდილობთ ბოლომდე.

**რამ გამოიწვია სოფლის მეურნეობაში გენდერული მეინსტრიმის გააქტიურება და როგორია ამ მხრივ სტატისტიკური მონაცემები?**

ჩვენ ვფიქრობთ, რომ გენდერული თანასწორობის პრინციპებს ზოგადად ყველა საკითხში უნდა დაეთმოს ყურადღება, ეს უბრალოდ ჩვენი მიდგომა არის, იმისთვის რომ ქვეყანა სწორად განვითარდეს ქალებიც და კაცებიც ერთნაირად უნდა იყვნენ ჩართულნი ქვეყნის განვითარებაში. რაც შეეხება სასურსათო უსაფრთხოებას, ეს ის თემაა, რომელზეც საკმაოდ დიდი ხანია წარმატებით მუშაობს ოქსფამი; მისი მხარდაჭერით შეიქმნა სასურსათო უსაფრთხოების სამოქმედო ჯგუფი სოფლის მეურნეობის სამინისტროში და დღეს უკვე არსებობს სასურსათო უსაფრთხოების სამოქმედო გეგმა. როდესაც გავეცანით აღნიშნულ გეგმას და სოფლის მეურნეობის სტრატეგიას მივხვდით რომ ე.წ გენდერული მეინსტრიმი იყო ძალიან საჭირო. გენდერული ასპექტები და გენდერული ხედვა აკლდა ამ კონცეფციებს და შესაბამისად ჩვენს ექსპერტთან ერთად ვეცადეთ გაგვეკეთებინა ქვეყნის სასურსათო უსართხოების პოლიტიკის გენდერული ანალიზი. რის შედეგადაც გამოვლინდა, რომ საკმაოდ მნიშვნელოვანი ცვლილებები არის განსახორციელებელი ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების პოლიტიკაში იმ თვალსაზრისით რომ გენდერული თანასწორობის პრინციპებზე დაყრდნობით გაკეთდეს სასურსათო უსაფრთხოების პოლიტიკა.

რატომ მაინც და მაინც გენდერი? რომ გადავხედოთ სტატისტიკას, ყოველწლიურად ქვეყნება მსოფლიოს გენდერული სხვაობის გლობალური ანგარიში და მის 2015 წლის ანგარიშში ვნახეთ, რომ საქართველო არის უკანა პოზიციებზე, 82-ე ადგილზე 145 ქვეყანას შორის იმის მიხდვით, თუ რამდენად ამომწურავად ვიყენებთ ქალების პოტენციალს. სასურსათო უსაფრთხოება ნიშნავს როგორც სურსათის წარმოებას ასევე სურსათის მოხმარებას. წარმოების პროცესში უნდა იყოს აუცილებლად ქალის პოტენციალი გამოყენებული და რასაკვირველია მოხმარების პროცესშიც. ქალს ისევე უნდა შეეძლოს სურსათის მოხმარება ისეთივე საჭიროებით რაც მას გააჩნია რომ არ იყოს გენდერული განსხვავება არც წარმოებაში და არც მოხმარებაში. ეს არის ჩვენი ძირითადი მიზანი, რომ ეს უთანასწორობა როგორც სურსათის წარმოებაში ისე მოხმარებაში ქალსა და მამაკაცს შორის არ არსებობდეს.

**რა ძირითადი გენდერული ბარიერები არსებობს სოფლის მეურნეობაში ჩართული ქალებისთვის?**

ბარიერები ძალიან ბევრია; პირველ რიგში გამოვყოფდი მიწის, საკუთრების ფლობის მომენტს. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით საქართველოში მიწის მფლობელთა 80% არიან კაცები და 20% ქალები. ეს იმას ნიშნავს, რომ კულტურულად, ტრადიციულად ჩვენი სტერეოტიპების მიხედვით საკუთრება გადაეცემა ოჯახში მამაკაცს. ეს ქალებს უქმნის ეკონომიკური დამოუკიდებლობის ბარიერს. თუ ქალს სურს, რომ დაიწყოს ბიზნესი მას რა თქმა უნდა სჭირდება ფინანსები და ამ ფინანსებისთვის სჭირდება უზრუნველყოფის საშუალებები, რაც მას არ გააჩნია. მეორე საკითხი არის განათლება, ის ელემენტარული ცოდნა რაც ქალს სოფლის მეურნეობაში სჭირდება, ან ვინმემ უნდა გადასცეს ან ტრენინგზე უნდა იაროს . თუმცა თუ სხვადასხვა ტრენინგებს დავაკვირდებით ძირითადად ესწრებიან მამაკაცები, მხოლოდ იმიტომ რომ ქალს აქვს სოფლად ორმაგი ტვირთი, ერთი სოფლის მეურნეობის ტვირთი და მეორე ოჯახის ტვირთი, რომელიც ბევრად უფრო მძიმეა.

ანაზღაურებას რაც შეეხება მსოფლიოში ასეთი ტრენდი არსებობს, რომ კაცის ხელფასი უფრო მაღალია ვიდრე ქალის. თუნდაც ფინანსური ინსტიტუტები, როცა კრედიტის გაცემაზე მივა საუბარი ქალის ბიზნესს უფრო არა სანდოდ მიიჩნევენ. ეს არსად არ წერია, მაგრამ თუკი დააკვირდებით სესხების გაცემის სტატისტიკას, დაინახავთ, რომ კაცის მართული ბიზნესის მიმართ უფრო მეტი ნდობა აქვთ ფინანსურს ინსტიტუტებსაც. სოფელშიც ასეა ქალის შრომა უფრო ნაკლებად ფასდება ვიდრე კაცის. „ბრიჯის“, „ოქსფამის“ და „ექშენ გლობალის“ ინიციატივით გაკეთდა ფილმი სოფლად მცხოვრები ქალების უხილავ ბარიერებზე და ბევრი ძებნის შედეგად ვიპოვნეთ ერთადერთი გოგონა, რომელიც ტრაქტორს მართავს. მის მაგალითზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ მსგავს მანქანებთან მუშაობა არ მოითხოვს განსაკუთრებულ ძალას და უფრო მეტიც, თანამედროვე ტექნოლოგიების მართვა ფიზიკურ ძალას კი არა ცოდნას ეფუძნება.

**რამდენად არიან სახელმწიფო სტრუქტურები ამ საკითხებზე მუშაობაში ჩართული და თავად თუ არიან ინოვატორები?**

ზოგადად საქართველოს კანონმდებლობა გენდერულად სრულიად ნეიტრალურია. როდესაც განსაკუთრებული საჭიროებები აქვს ერთი სქესის წარმომადგენლებს მე ვფიქრობ, რომ კანონმდებლობა უნდა იყოს გენდერულად სენსიტიური. მას შემდეგ რაც გენდერული რეკომენდაციები გავაცანით სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ვფქირობ, რომ ისინი დაინტერესებულნი არიან ჩვენთან თანამშრომლობით.

**როგორია ორგანიზაციის მიდგომა ნუტრიციის საკითხებთან დაკავშირებით?**

ჩვენ ვეყრდნობით ოქსფამის მიერ ჩატარებულ ყოვლისმომცველ ნუტრიციულ კვლევას. ნუტრიციის თვალსაზრისით ქალს და კაცს განსხვავებული საჭიროებები აქვთ, განსაკუთრებით რეპროდუქციის პერიოდში. მნიშვნელოვანია სახელმწიფომ ამ ორი განსხვავებული საჭიროებების მქონე სქესის მოთხოვნილებები თანაბრად გაითვალისწინოს. ნუტრიციის კვლევით აღმოჩნდა, რომ ოჯახში 5 ჯგუფის საკვების მოხმარების შემთხვევაში, ქალი ერთი ჯგუფით ნაკლებს მოიხმარს. რაც იმას ნიშნავს, რომ ოჯახში ქალი საკვებს თმობს ვიღაცის სასარგებლოდ. ეს, რა თქმა უნდა დედობრივი მზრუნველობის გამოვლინებაა, მაგრამ სახელმწიფომ ყურადღება უნდა მიაქციოს გენდერულ მეინსტრიმს სხვადასხვა პროექტების განხორციელებისას.

მხარდაჭერა სჭირდებათ სოციალურად დაუცველ და მოწყვლად ჯგუფებს, იძულებით გადაადგილებულ პირებს, სავალდებულოა დედათა და ბავშვთა საჭიროებების გათვალისწინება. საქართველოში მაღალია ანემიით დაავადებული ადამიანების რიცხვი, რაც გარკვეულწილად არასრულფასოვან კვებას უკავშირდება. საბოლოო ჯამში ამას ჯანდაცვის პრობლემამდე მივყავართ, სადაც საჭიროა ნუტრიციის სწორი დაგეგმვა და მასში ამ ასპექტების გათვალისწინება.

**პარლამენტში შედგა შეხვედრა ქვეყანაში პირველადი საჭიროების პროდუქტების ფორტიფიკაციასთან დაკავშირებით, როგორია „ბრიჯის“ მოსაზრება, საჭიროა თუ არა ქვეყანაში მსგავსი პროგრამის განხორციელება?**

სახელმწიფოსგან ეს ძალიან საჭირო და მნიშვნელოვანი სვლაა. მე ვფიქრობ, ქვეყანაში სასურსათო უსაფრთხოების კანონიც უნდა არსებობდეს და პირველადი მოხმარების უმნიშვნელოვანეს საკვებთა ჯგუფი მასში უნდა იყოს განსაზღვრული. თუმცა ეს სასიცოცხლო მნიშვნელობის გადაწყვეტილებაა და მტკიცე ბაზაზე დაყრდნობით, ექპსერტებისა და პროფესიონალების ჩართულობით უნდა იქნეს შემუშავებული. სტაბილური სასურსათო გარემოს შექმნისთვის აუცილებელია სოფლის მეურნეობის წარმოების გაზრდა და იმპორტზე ნაკლებად დამოკიდებულება.

**როგორია თქვენი რეკომენდაციები გენდერსა და სასურსათო უსაფრთხოების ჭრილში?**

ჩვენ გვაქვს რეკომენდაციების პაკეტი, რომელიც ჯერ კიდევ დამუშავების პროცესშია. იმედი გვაქვს მუშაობას სასურსათო უსაფრთხოების ჯგუფთან ერთად სოფლის მეურნეობის სამინისტროში გავაგრძელებთ. სოფლად მცხოვრები ქალები მაქსიმალურად უნდა იყვნენ ეკონომიკის განვითარებაში ჩართულნი. ჩვენ გვაქვს გენდერული თანასწორობის კანონი და გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმა, რაც ქვეყნის განვითარებისთვის დიდი პოტენციალია, მისი გამოუყენებლობა კი შემაფერხებელი.

# 18 წლის ნიკოლოზ გაჩეჩილაძის წარმატება გლობალური ინოვაციების კონკურსზე

თამარ უმფრიანი EXCLUSIVE

ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ კონკურს Global Innovation through Science and Technology-ს ქართველი ნახევარფინალისტი ჰყავს. ქართული ინოვაციური იდეა სახელწოდებით MotionX კონკურსში მონაწილე 104 ქვეყნის წარმომადგენლებს შორის ნახევარფინალისტი აღმოჩნდა.

იდეის ავტორი 18 წლის ნიკოლოზ გაჩეჩილაძე LCC International University-ში, საერთაშორისო ბიზნეს ადმინისტრირების ფაკულტეტის სტუდენტია. მისი საკონკურსო იდეის განხორციელება კი ვირტუალურ რეჟიმში განათლების ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს.

„MotionX არის იდეა, რომლის ფარგლებშიც მოხდება ვიდეო გადაღების, დამონტაჟებისა და ვებ-სივრცეში განთავსების ავტომატიზაცია. რაც განვითარებად რეგიონებში მყოფ საგანმანათლებლო დაწესებულებებს სასწავლო მასალის ვებ-სივრცეში მარტივად, მინიმალური ხარჯით განთავსების საშუალებას მისცემს“, - განაცხადა ნიკოლოზ გაჩეჩილაძემ „ობზერვერთან“ საუბრისას.

იდეის მთავარი ნაწილი სწორედ ის ტექნოლოგიური გამოგონებაა რომელიც კამერების დამონტაჟების შემდეგ, გადაღებას, დამონტაჟებას და ატვირთვას თვითონ განახორციელებს. აქედან გამომდინარე პროექტი ხელს შეუწყობს განათლების პროცესში ჩაერთონ ადამიანები, ვისთვისაც ინფორმაცია აქამდე მიუწვდომელი იყო. გარდა ამისა, პროექტი მასალის ადაპტირებასაც (ენობრივ, კულტურულ და კონტექსტურ) გულისხმობს, ეს კი განათლების სფეროს ადგილობრივი წარმომადგენლების ჩართვას შეუწყობს ხელს.

„აღსანიშნავია, რომ პროექტი საერთაშორისო მნიშვნელობისაა რადგან ბაზარზე მსგავსი სისტემის შესახებ რომელიც იგივე სტილით მუშაობს ინფორმაცია არ მოგვეპოვება. ხელმისაწვდომი კი იქნება ყველა ენაზე იმის და მიხედვით სად განთავსდება“, - აღნიშნა გაჩეჩილაძემ.

ახალგაზრდა ინოვატორი აქტიურადაა ჩართული სხვადასხვა ტიპის აქტივობებში, რაც სიახლის დანერგვასა და საზოგადოების კეთილდღეობის დონის ამაღლებას ემსახურება. სურს შექმნას ღირებული პროდუქტი, რომელიც განათლების სფეროში მასშტაბურ პოზიტიურ ცვლილებას მოახდენს. გაჩეჩილაძის თქმით, MotionX-ის იდეა დიდი ხანი აქვს, მსავსი კონკურსი კი მისი რეალობად ქცევის შესანიშნავი საშუალებაა.

გლობალური ინოვაციების კონკურსი GIST NET ახალგაზრდა ინოვატორებს მათ ბაზაზე გამოცდილების მიღების, იდეების დახვეწისა და მათ რეალობად ქცევის საშუალებას აძლევს. 2011 წლიდან პროგრამის ფარგლებში 135 განვითარებადი ქვეყნის წარმომადგენელმა წარმოადგინა საკუთარი იდეა და აიმაღლა კვალიფიკაცია სხვადასხვა კონკურსებისა და საგანმანათლებლო ბანაკების მეშვეობით.

ამჟამინდელი მონაცემებით, კონკურსში სირიისა და იორდანიის წარმომადგენლები ლიდერობენ, რომელთაც რეიტინგში საქართველო მოჰყვება. „კონკრეტულად განათლების კუთხით, იორდანიის წარმომადგენელი წარადგენს პროექტს, რომელიც სატელეფონო აპლიკაციის საშუალებით საფეხურეობრივი მათემატიკის სწავლას უწყობს ხელს. სირიის წარმომადგენელი (საგანმანათლებლო პროექტით) კი წარმოადგენს

გამოგონებას, რომელიც ბავშვებს ელექტრონიკის სწავლასა და ლოგიკური აზროვნების განვითარებაში დაეხმარება.“ - ამბობს ნიკოლოზი.

კონკურსის ფინალისტები ონლაინ ხმის მიცემის რეჟიმით გამოვლინდებიან, რომელიც 1 აპრილს ჩᲘშთ ვეტწორკ-ის საიტზე დაიწყო და 1-ელ მაისამდე გასტანს. ბოლო ეტაპზე 30 მონაწილე გადავა, 30 ივნისს კი ისინი კალიფორნიაში, სოლიციუმის ველში გამართულ სამიტზე შეიკრიბებიან, სადაც მენტორინგის გავლის შემდეგ აუდიტორიას საკუთარ იდეებს გამარჯვების მოსაპოვებლად წარუდგენენ.

ამჟამად კი, ნებისმიერ მსურველს კონკურსანტთა შორის მარტივად შეუძლია იპოვნოს ნიკოლოზ გაჩეჩილაძე და მხარი დაუჭიროს ქართულ ინოვაციურ საგანმანათლებლო იდეას, რომლის განხორციელების შემთხვევაშიც ხარისხიანი განათლება არაერთი ადამიანისთვის გახდება ხელმისაწვდომი.

# თვითმენეჯმენტის 7 წესი, როგორც წარმატების ფორმულა

ნინი მაჭავარიანი

EXCLUSIVE

6 აპრილს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს გერმანიაში მოღვაწე ქართველი ახალგზარდა პიანისტი, "Steinway & Sons" პირველი პრემიის მფლობელი ნინო კოტრიკაძე სტუმრობდა. პიანისტმა სტუდენტებს თავისი გამოცდილება გაუზიარა და „ობზერვერის" მკითხველს თვითმენეჯმენტის ის 7 წესი გააცნო, რომელიც წარმატების მიღწევაში ყველაზე დიდ როლს თამაშობს.

### 1. იყავით ორგანიზებული

სწორედ და ჭკვიანურად გადაანაწილეთ დრო, რადგან დრო ის ფასდაუდებელი განძია, რომელსაც უკან ვერასდროს დავაბრუნებთ და ნებისმიერ მომენტში შესაძლებელია დადგეს ის გარდამტეხი წამი, რომელსაც კარდინალურად შეუძლია ცხოვრების სხვა ლიანდაგზე გადაყვანა, ჩვენ კი ამისთვის როგორც პროფესიულად, ასევე შინაგანად მზად უნდა ვიყოთ.

### 2. გქონდეთ საკუთარი თავის რწმენა

სასიცოცხლოდ მნიშნელოვანია ბოლომდე გჯეროდეთ საკუთარი შესაძლებლობების, იმდენად, რომ ამაში სხვებიც დაარწმუნოთ.

### 3. განახორციელეთ საკუთარი იდეები

გჯეროდეთ იმის, რომ რასაც თქვენ აკეთებთ სწორი და კარგია. შეეცადეთ განახორციელოთ ნებისმიერი შემოქმედებითი წამოწყება, რაც არ უნდა რთული და არარეალური ჩანდეს ის დასაწყისში. მე პირადად მუსიკას ღრმად და სხვადასხვა კონტექსტში ვხედავ, სხვანაირად შეუძლებელია კარგი ხელოვანი გახდე. ეს არ არის უბრალოდ კლავიშებზე დაკვრა და ჰონორარის აღება.

### 4. იყავით პოზიტიურ განწყობაზე

პოზიტივის მიღება და გაცემა ალბათ ყველაზე მნიშვნელვანი ადამიანური მისიაა. გულწრფელი ღიმილი ადამიანს თქვენს მიმართ აუცილებლად დადებითად განაწყობს.

### 5. იყავით მიზანდასახულნი

რაც არ უნდა მოხდეს არ უღალატოთ ბავშვობის ოცნებებს, რადგან ისინი ყველაზე წრფელი და სუფთაა. ბებიას უნდოდა, რომ ექიმი გამოვსულიყავი, მაგრამ მე მაინც ჩემს ბავშობის დროინდელ ოცნებას არ ვუღალატე და მიზანმიმართულად მივდიოდი ჩემი მიზნისკენ. მუსიკოსობა 11 წლის ასაკიდან გადავწყვიტე, ამის ბიძგი პირველი სოლო კონცერტი იყო, თუმცა არ მიმაჩნია, რომ მხოლოდ პიანისტი ვარ, რადგან მუსიკოსობა ძალიან ბევრ სფეროს მოიცავს. მინდა აღვნიშნო, რომ იმ მომენტიდან, როდესაც მე აღმოვჩნდი სრულიად მარტო, უცხო გარემოში მასულდგმულებდა და გზას მინათებდა სწორედ ბავშვობის პერიოდში პედაგოგებისგან : ლალი რჩეულიშვილისა და რეზო თავაძისგან მიღებული იმპულსები; განუმეორებელი ემოცია, რომელსაც სცენაზე გამოსვლილსას ვიღებდი. ყველაფერი გაიღეთ იმისთვის, რომ აისრულოთ დასახული ოცნებები, რომელთა უმრავლესობა ყოველდღიურობაში იკარგება და ფერმკრთალდება.

### 6. გქონდეთ პასუხისმგებლობის გრძნობა

იპოვეთ ბალანსი საკუთარ თავში და განსაზღვრეთ რამდენი დრო გჭირდებათ საკუთარ თავზე სამუშაოდ, არ დაეყრდნოთ დაშტამბულ მოძველებულ წესებს. რა თქმა უნდა, საკუთარ თავზე მუშაობა ძალიან ინდივიდუალურია ზოგს მეტი სჭირდება, ზოგს კი ნაკლები. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენი ყოველი დღე რუტინული და უინტერესო გავხადოთ. მე მაგალითად მაქვს ნაწარმოებები, რომელიც შემიძლია არ ვიმეცადინო და სცენაზე დავუკრა პირდაპირ. მსოფლიოში ბევრი ცნობილი პიანისტი არ დავასახელებ მათ სახელს და გვარს, ყოველდღე არ მეცადინეობენ იმას, რასაც კონცერტზე ასრულებენ.

ასაკთან და დროსთან ერთად ადამიანი იძენს ისეთ გამოცდილებას, რომელსაც აღარ სჭირდება საათობრივი მუშაობა. ეს ეხება არა მხოლოდ მუსიკოსებს ან ხელოვანებს, არამედ ნებისმიერი პროფესიის ადამიანს.

### 7. იყავით შრომისმოყვარე

ზოგადად თვითშემეცნება, ახალი უნარების შეძენა და აზრობრივი გახსნა ალბათ ყველაზე საინტერესო პროცესია ახალგაზრდა შემოქმედის ცხოვრებაში. ზოგადი განათლება და აზროვნების ფართო სპექტრის ქონა ისეთივე აუცილებელია ახალგაზრდა მუსიკოსისთვის, როგორც ინსტრუმენტზე დაკვრის ელემენტარული უნარ-ჩვევები. პირადად ჩემი, როგორც მუსიკოსის ჩამოყალიბებაში უდიდესი როლი ითამაშა სწორედ სინთეზურმა განათლებამ პირველ კლასიკურ გიმნაზიაში და მუსიკალურ ათწლედში, უცხო ენების ცოდნამ, ინტერესმა მუსიკისგან ერთი შეხედვით სრულიად შორს მდგარ ტექნიკური თუ საბუნებისმეტყველო საგნებისადმი და უდიდესმა სიყვარულმა თეატრალური და სახვითი ხელოვნებისადმი. ადრეულ ასაკში მიღებული ამ ცოდნითა და შთაბეჭდილებებით დღემდე ვსაზრდოობ და ვთვლი, რომ სწორედ ესაა ის მყარი საფუძველი, რომელზედაც უნდა მოხდეს არამარტო ხელოვანის, ზოგადად პიროვნების საბოლოო ჩამოყალიბება.

ნინო კოტრიკაძე დაიბადა 1986 წელს თბილისში მუსიკოსების ოჯახში. პიანისტმა მუსიკის შესწავლა ტრადიციულად 6 წლის ასაკში მუსიკალურ ათწლედში ლალი რჩეულიშვლის კლასში დაიწყო, მერე ჩააბარა ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში რეზო თავაძის კლასში, სადაც ბაკალვრის ოთხი კურსი სრულად გაიარა.

2007-2008 წლებში კანადის პრესტიჟულ კონსერვატორიაში ჩააბარა, სადაც სრული დაფინანსებაც მოიპოვა, თუმცა საბოლოოდ გერმანიაში წასვლა არჩია, რადგან იქ მეტი მუსიკალური შესაძლებლობა ესახებოდა. იმის მიუხედავად, რომ სრულიად უცხო გარემოში მოუწია თავის დამკვიდრება გადაულახავი პრობლემები არ ჰქონია. ყოველდღიური - ცხოვრებისეული დეტალების მოგვარებაში მუსიკოსი და ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი რეზო კიკნაძე ეხმარებოდა, რისთვისაც დიდ მადლობას უხდის.

ახალგაზრდა პიანისტი წარმატებით გამოდის გერმანიის, ავსტრიის, უნგრეთის, შვეიცარიის, იტალიის, ესპანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრესტიჟულ სცენებზე. მას გამოშვებული აქვს ორი აუდიოალბომი: "Das Elisabeth Fest Album" (2011), სადაც შესულია დიდი უნგრული კომპოზიტორისა და პიანისტის, ფერენც ლისტისა და მისი თანამედროვე კომპოზიტორების ახლახან აღმოჩენილი ნაწარმოებები და გერმანელი კომპოზიტორისა და პიანისტის, თეოდორ კულაკის „Kinderieben (2014).

ბერლინის „Hanns Eisler"-ის უმაღლესი სამუსიკო სკოლის მაგისტრი ამჟამად ცხოვრობს ჰამბურგში, ჰყავს აგენტი, რომელიც განაგებს მის გაწერილ და გადატვირთულ საკონცერტო ტურნეს. საშემსრულებლო კარიერას უთავსებს პედაგოგიურ საქმიანობას და აქტიურადაა ჩართული ფესტივალებისა და კონცერტების ორგანიზებაში.

# „წარმატებული სტუდენტების წახალისების" პროგრამით სტიპენდია 67 სტუდენტს გადაეცა

თბილისის მერმა დავით ნარმანიამ პროგრამის, „წარმატებული სტუდენტების წახალისების" ფარგლებში, 67 მაგისტრანტს სტიპენდია გადასცა. პროგრამის მიზანია, მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტების წახალისება.

მუნიციპალიტეტის სტიპენდიის მოპოვება შეუძლია თბილისში რეგისტრირებულ პირს, რომელიც არის სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი და წინა სემესტრის განმავლობაში გავლილ ყველა სალექციო კურსში მიღებული აქვს 91 და მეტი ქულა. (A კატეგორია - ფრიადი). პროგრამა სემესტრულია და თითოეული სტიპენდიანტი 450 ლარს იღებს.

„გრძელდება პროგრამა, რომელიც წარმატებული მაგისტრანტების წახალისებას გულისხმობს. გვსურს, მათი მოტივაცია უფრო მეტად გაიზარდოს. წარმატებული სტუდენტი ქალაქისა და ქვეყნის წარმატების საწინდარია. ეს არის მოკრძალებული ინვესტიცია ჩვენსავე მომავალში. მათ უნდა შევუქმნათ გარემო უკეთესი კვალიფიკაციისა და განათლებისთვის. პროგრამის მიზანიც სწორედ ეს არის", - განაცხადა დავით ნარმანიამ.

„წარმატებული სტუდენტების წახალისების" პროგრამის პირველ ორ ეტაპზე სტიპენდია 150-მდე სტუდენტმა მიიღო. პროგრამა მომდევნო სასწავლო წლებშიც გაგრძელდება.

ღონისძიებას ასევე ესწრებოდნენ დედაქალაქის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლები.

# ბაბუშერას ტრაგედიის დროს დაღუპული მებრძოლები სამხედრო პატივით დაკრძალეს

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპული მებრძოლები დიღმის ძმათა სასაფლაოზე 9 აპრილს სამხედრო პატივით დაკრძალეს.

სამგლოვიარო ცერემონიას დევნილთა და განსახლების მინისტრი სოზარ სუბარი, თავდაცვის მინისტრის მოადგილე დავით ებრალიძე და დედაქალაქის მერი დავით ნარმანია დაესწრნენ.

სოზარ სუბარის განცხადებით, სიმბოლურია, რომ 12 გმირის დაკრძალვა, სწორედ 9 აპრილს დაემთხვა.

„ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული და ყველაზე ჰეროიკული დღეა 9 აპრილი. ალბათ სიმბოლურია, რომ 12 გმირის დაკრძალვა სწორედ ამ დღეს დაემთხვა . 9 მათგანი ძმათა სასაფლაოზე დაკრძალეს, ხოლო 3 საგვარეულო სასაფლაოებზე გადაასვენეს. უკვე 43 ადამიანის იდენტიფიცირება მოხდა. კიდევ 208 ნეშტი არის გადმოსვენებული, რომელთა იდენტიფიცირების პროცესი მიმდინარეობს. ამ პროცესში მონაწილეობს ძალიან ბევრი ადამიანი. განსაკუთრებული მადლობა მინდა ვუთხრა საერთაშორისო წითელ ჯვარს იმ უზარმაზარი ძალისხმევისთვის, რასაც ისინი იჩენენ. ასევე განსაკუთრებული მადლობა აფხაზურ მხარეს, იმიტომ რომ საოცარი გულისხმიერებით უდგებიან ამ საკითხს. მათ აბსოლუტურად გასიგრძეგანებული აქვთ, რომ ეს არის ჰუმანიტარული მისია და აქ პოლიტიკაზე ლაპარაკი იქნებოდა ზედმეტი“ , - განაცხადა სოზარ სუბარმა.

ბაბუშერას ტრაგედიის დროს დაღუპულთა სამოქალაქო პანაშვიდი სამების საკათედრო ტაძარში ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. დღეს, საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა, დევნილთა და განსახლების მინისტრმა სოზარ სუბარმა და საქართველოს მთავრობის სხვა წევრებმა სამების საკათედრო ტაძარში კიდევ ერთხელ მიაგეს პატივი დაღუპული მებრძოლების ხსოვნას და გარდაცვლილთა ოჯახის წევრებს მიუსამძიმრეს.

2010 წელს წითელი ჯვრის ეგიდით შეიქმნა ორმხრივი საკოორდინაციო ჯგუფი, რომელიც 1992-1993 წლებში ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შედეგად უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოძიების საკითხებს შეისწავლის.

მოლაპარაკების შედეგად გადაწყდა ბაბუშერას ძმათა სასაფლაოს გახსნა და ცხედრების ექსჰუმაცია.

ბაბუშერას ძმათა სასაფლაოზე სამარხის გახსნის შემდეგ, იდენტიფიცირების მიზნით, ნეშტები გადმოსვენებულ იქნა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში. საქართველოში ჩატარებული გენეტიკური პროფილები ხორვატიაში, ზაგრების უნივერსიტეტის დნმ ლაბორატორიაში გაიგზავნა. ამ ეტაპზე, ბაბუშერას სამარხიდან გადმოსვენებული 43-ვე ნეშტი უკვე იდენტიფიცირებულია.

დევნილთა და განსახლების სამინისტროსა და აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობის წარმომადგენლებს შორის მიმდინარე მოლაპარაკებების შედეგად, 2016 წელს კიდევ ორი სამარხი გაიხსნება, საიდანაც 100-ზე მეტ ცხედარს გადმოასვენებენ.

# C ჰეპატიტის ელიმინაციის მესამე ეროვნული სამუშაო შეხვედრა

6 აპრილს დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში C ჰეპატიტის მესამე ეროვნული სამუშაო შეხვედრა გაიმართა. აღნიშნული ღონისძიება უკვე მესამე წელია ტრადიციულად გაზაფხულზე იმართება და მის ფარგლებში განიხილება C ჰეპატიტის პრევენციისა და კონტროლის მნიშვნელოვანი საკითხები. წლევანდელი სამუშაო შეხვედრის მიზანია საქართველოში C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა, როგორიცაა: C ჰეპატიტის სეროპრევალენტობის პოპულაციური კვლევის შედეგები; ელიმინაციის პირველი ფაზის შედეგები; ელიმინაციის გრძელვადიანი სტრატეგია (2016-2020).

პოპულაციური კვლევის შედეგების მიხედვით საქართველო C ჰეპატიტის ვირუსის გავრცელების მაჩვენებელი სწრაფი მარტივი ტესტით -7,5%-ს შეადგენს, ხოლო ლაბორატორიულად დადასტურებული შემთხვევების რაოდენობა 5,3%-ს.

დღეის მდგომარეობით პროგრამაში 8000-მდე პაციენტია ჩართული. შეხვედრას შრომის, ჯანმრთელობიასა და სოციალური დაცვის მინისტრი დავით სერგენკო და აშშ-ს ელჩი საქართველოში იან კელი ესწრებოდნენ.

# კახეთში ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარი გაიხსნა

სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდმა” კახეთის რეგიონში, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრის გახსნასთან დაკავშირებით პრეზენტაცია გამართა. ღონისძიებას დაესწრნენ ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე ვალერი კვარაცხელია, აშშ-ს ელჩი იან კელი, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე არჩილ თალაკვაძე, სახელმწიფო ფონდის დირექტორი თამილა ბარკალაია, გაეროს ქალთა ფონდის წარმომადგენელი ერიკა კვაპილოვა და სხვა არასამთავრობო თუ სახელმწიფო უწყების წარმომადგენლები.

თავშესაფრის გახსნა განხორციელდა სახელმწიფო ფონდის, გაეროს ქალთა ფონდის და აშშ-ს საელჩოს თანადაფინანსებით.

სახელმწიფო ფონდი ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მიმართ ახორციელებს სხვადასხვა სერვისებს: ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება და კანონიერი ინტერესების დაცვა; ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრით, იურიდიული, ფსიქოლოგიური, სამედიცინო და/ან სხვა სახის მომსახურებებით უზრუნველყოფა; ოჯახსა და საზოგადოებაში სრული რეინტეგრაციის ხელშეწყობა.

# გარემოს დაცვის მინისტრმა ბათუმის კონფერენციის დეტალებზე ისაუბრა

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი გიგლა აგულაშვილი „ეკოჰაბში“ არასამთავრობო, სამთავრობო და ბიზნესსექტორის წარმომადგენლებს შეხვდა. გიგლა აგულაშვილმა, მინისტრის მოადგილე თეიმურაზ მურღულიასთან ერთად, შეხვედრის მონაწილეებს, ბათუმში დაგეგმილი მინისტრთა მერვე კონფერენციის - „გარემო ევროპისთვის“ მნიშვნელობა, პერსპექტივები და კონფერენციის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები გააცნო.

„გარემო ევროპისთვის“ 8-10 ივნისს ბათუმში გაიმართება. კონფერენციას 800- მდე დელეგატთან ერთად, დიპლომატიური კორპუსის, საერთაშორისო ორგანიზაციების და სამთავრობო უწყებების წარმომადგენლები დაესწრებიან.

მინისტერიალის მთავარი თემები იქნება მწვანე ეკონომიკა და ჰაერის ხარისხის გაუმჯობესება უკეთესი გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისთვის. შეხვედრა გარემოსდაცვითი განათლებისა და ინფორმაციის ცენტრში, ინტერაქტიულ რეჟიმში ორი საათის განმავლობაში მიმდინარეობდა.

# პარლამენტი იუსტიციის სამინისტროს საკანონმდებლო ინიციატივის განხილვას იწყებს

საქართველოს პარლემანტმა იუსტიციის სამინისტროს საკანონმდებლო ინიციატივის განხილვა დაიწყო, რომელიც მიწის რეგიტრაციისას ბარიერებს ხსნის და პროცედურას მაქსიმალურად ამარტივებს. შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი საკანონმდებლო ორგანოს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა წარუდგინა. ცვლილებების მიზანი იმ სირთულეების აღმოფხვრაა, რასაც მიწის ნაკვეთების მფლობელები ქონების რეგისტრაციის პროცესში აწყდებიან. საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ინიციატივის თანახმად, მიწის ნაკვეთების რეგისტრაციის პროცედურა მარტივდება; იხსნება ბარიერები, რომლებიც მესაკუთრეს ექმნებოდა, ხოლო რეგისტრაციის პროცედურა წახალისდება.

სპეციალური პროექტისა და შესაბამისი საკანონმდებლო პაკეტის მომზადება მიწის რეგისტრაციის კუთხით არსებულმა პრობლემებმა გამოიწვია. კერძოდ, დღეისათვის ქვეყანაში არსებული მიწის ნაკვეთების 25%-მდეა რეგისტრირებული, რაც ძალიან ცოტაა. ცვლილებების უმთავრესი მიზანი სწორედ მიწის რეგისტრაციის პროცესის გამარტივება და წახალისებაა. პროექტზე მუშაობისას გამოვლინდა მიწის მარტივი რეგისტრაციისთვის ხელისშემშლელი პრობლემები და მათ აღმოსაფხვრელად მომზადდა სპეციალური საკანონმდებლო ცვლილებები.

კერძოდ: შემუშავდება საამზომველო ნახაზის ერთიანი სტანდარტი, პროექტში ჩართული ამზომველები გაივლიან გადამზადების კურსს; სახელმწიფო მოქალაქეს დაეხმარება საკუთრების დამადასტურებელი საბუთების მოძიებაში; სახელმწიფო მესაკუთრეებს დავების მოგვარებაში დაეხმარება

# გიორგი მელუას თეოსოფიური ხედვა მხატვრობაში

ნინი მაჭავარიანი

EXCLUSIVE

12 აპრილს მხატვარ გიორგი მელუას პერსონალური გამოფენა მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრში გაიხსნება და 24 აპრილამდე გაგრძელდება. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოში აკრილიკის მედიუმში შექმნილი ორმოცდაათამდე ფერწერული ტილო.

საგამოფენო სივრცე საკმაოდ დიდი და ლაღია, შესაბამისად დამთვალიერებელს ოთახის მარჯვენა მხარეს შესაძლებლობა ექნება იხილოს საინტერესო „სურათების სერია“, რომელიც მხატვრის ლექსების კრებულს ეფუძნება და მთვარის მისტიფიკაციასა და თეოსოფიის გარკვეული დებულების მიხედვითაა აგებული, რაც გარკვეულწილად პოეტურ შერწყმას გულისხმობს; ხოლო მარცხენა მხარეს განლაგებული იქნება აბსტრაქტული ნამუშევრები, რომელიც ზომით შედარებით დიდია.

„ჰოროკოპით კირჩხიბი ვარ, სწორედ ამიტომ ჩემი მფარველი პლანეტა მთვარეა. ეს ლექსები დაიწერა ჩემი ცხოვრების ყველაზე რთულ მომენტში, როდესაც ამერიკის შეერთებულ შტატებში სიცხესა და სიცივეში ვიმყოფებოდი, ჩემი ერთადერთი მეგობარი იყო მთვარე, რამაც გაგრძელება ჩემს ფერწერაში ჰპოვა“, - აღნიშნა მხატვარმა.

გიორგი მელუას პარალელური სამყაროების არსებობის სჯერა, რაც მხატვრის შემოქმედებაზეც აისახა და მის ნახატებზე ნათლად შეგიძლიათ დაინახოთ თუ როგორაა შერწყმული ორი პარალელური სამყაროს არსებობის ნიშნები.

ხატვა ემიგრაციაში ყოფნის პერიოდში სპონტანურად დაიწყო. საკუთარ თავს მხატვრობაში ვერასდროს წარმოიდგენდა, მაგრამ ამერიკაშიც და საქართველოშიც მხატვართა წრეში ტრიალებდა, სწორედ ამან უბიძგა შეექმნა რაღაც ახალი და საინტერესო.

სავანაში სადაც გიორგი მელუა მოღვაწეობდა ძალიან ბევრი მხატვარი ცხოვრობდა, იქაური ბუნების სილამაზის გამო სხვადასხვა შტატებიდან იყრიდნენ თავს მხატვრები, იმისთვის, რომ ამ დიდებული ადგილის პეიზაჟები შეექმნათ. გიორგი მელუამ აღნიშნა, რომ „ბევრი მხატვარი შთაგონებას სავანის ლამაზი ხედებიდან იღებდა“.

ქართველი მხატვარი იხსენებს, როგორ ნახა ოქროს მელნით მოხატული თიხის ჭურჭელი მეგობართან სტუმრობისას, რომლის მსგავსსაც დიდი ხნის განმავლობაში ეძებდა. ამის შემდეგ თავადაც შეიძინა თიხის ლარნაკი, ოქროსფერი კანტებით გაალამაზა და შემდგომ მოხატა. ვისაც არ დაათვალიერებინა ეს ნამუშევარი არავინ იჯერებდა, რომ ასეთ პროფესიულ დონეზე ჰქონდა შესრულებული თვითნასწავლ მხატვარს სამუშაო.

„ სწორედ ამ ლარნაკის მოხატვის მერე გამიღვივდა სურვილი, რომ კიდევ შემექმნა რამე. ერთ-ერთმა ჩემმა მეგობარმა მაყიდინა ფუნჯები და საღებავები, მახსოვს მითხრა ახლა ეს შენია წადი და დახატეო. მაშინ მისი ნათქვამი სრულ აბსურდად მომეჩვენა, მაგრამ რამდენიმე დღეში, როდესაც მარტო დავრჩი, დავიწყე ხატვა“, - აღნიშნა გიორგი მელუამ.

პირველი ნახატი ქალაქ სავანას პეიზაჟია, რომელიც ასევე სრულიად სპონტანურად და მოულოდნელად შეიქმნა., ხოლო პირველი გამოფენის ჩატარება გადაწყვიტა იმისთვის, რომ ეყიდა კარგი ფოტოაპარატი. სუზან კროჩის საგაზაფხულო გამოფენაზე მიიღო მონაწილეობა, სადაც 200 მხატვრის მიერ წარდგენილ ნამუშევრებს შორის გიორგი მელუას ნახატმა გაიმარჯვა.

„ეს დღე ჩემთვის დაუვიწყარი იყო. მახსოვს მოვიდა ჩემთან საგამოფენო სივრცის პრეზიდენტი ქალბატონი სუზან კროჩი და მითხრა, რომ მე გავიმარჯვე. ვერაფრით წარმოვიდგენდი, რომ ამდენ მხატვარს შორის ჩემს ნახატს აირჩევდნენ. სწორედ ამ გამარჯვებამ ძალიან დიდი სტიმული მომცა და ამის მერე აღარ გავჩერებულვარ“, - აღნიშნა მხატვარმა.

ძალიან არ უყვარს საკუთარი ნახატების გაყიდვა. საქართველოში ჩამოსვლისთანავე ამერიკის საელჩოში გამოფენა-გაყიდვაზე მიიწვიეს, ისე არ სურდა, რომ გაყიდულოყო მისი ნახატები გააზრებულად ძალიან დიდი ფასი დაადო, არცერთი ნახატი არ გაიყიდა და ხელოვანიც შინ ბედნიერი დაბრუნდა.

აღსანიშნავია, რომ გიორგი მელუას ნამუშევრები სკურპულოზური სიზუსტით და სინატიფითაა შესრულებული. ძალიან უყვარს ნივთები და სხვადასხვა მოქანდაკეების მინიატურულ ნამუშევრებსაც კი წააწყდებით მის სახლში, ძველებური ამერიკული შუქის სანათი აქვს, რომელიც იქ ცხოვრებისას შეიძინა, განაახლა და სამშობლოში ჩამოიტანა. მისი სამუშაო სივრცე სახლის მისაღები ოთახის ერთ-ერთ კუთხეშია, სწორედ ამიტომაა, რომ მისი ნახატებს გარკვეული ნაწილი მცირე ზომისაა. ბატონი გიორგი და მისი მეუღლე უახლოეს მომავალში სამხატვრო სტუდიის შეძენას გეგმავენ, თუმცა ჯერჯერობით რა და როგორ იქნება არ იციან.

სამუშაოსგან თავისუფალ დროს დაახლოებით კვირაში სამჯერ სტუმრობს საგამოფენო სივრცეებს და ეცნობა სხვადასხვა მხატვრების ნამუშევრებს.

„ბევრი მეგობარი მხატვარი მყავს, ისინი მაფასებენ როგორც მხატვარს და პიროვნებას. საზოგადოებას და უპირველეს ყოვლისა მე მჭირდება , რომ ჩემი შემოქმედება გავაცნო მათ, გული გადავუშალო და დავანახო რა სულიერ ღირებულების მატარებელი ვარ. ეს იქნება ჩემთვის ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოცდა“, - განაცხადა ხელოვანმა.

მას მიაჩნია, რომ თითოეულ მხატვარს შეუძლია თავისი მცირე წვლილი შეიტანოს მხატვრობაში და საკუთარი კვალი დატოვოს, ამიტომ სამომავლოდ ბევრ საინტერესო გამოფენა - გაყიდვას გვპირდება. ერთ-ერთი მაისის თვეში გაიმართება.

გიორგი მელუა დაიბადა 1957 წელს. დამთავრებული აქვს ისტორია-ფილოლოგიისა და ჟურნალისტიკის ფაკულტეტი. არის ორი პოეტური და რამდენიმე სამეცნიერო-პოპულარული წიგნის ავტორი. გამოსცემდა და რედაქტორობდა საკუთარ გაზეთს, ჰქონდა საავტორო პროგრამა რადიოში. ქართველი მხატვარი აშშ-ს ჯორჯიის შტატის Landings Art Association-ის წევრია. აღსანიშნავია, რომ 2009 წელს Merrill Lynch Sprin Art Show-სა გამარჯვებულია და Plantation Club Gallery - ის „The People's Choice"-ის ნომინაციაში გაიმარჯვა სავანაში. ასევე მიღებული აქვს მრავალ ჯგუფურ გამოფენებში მონაწილეობა, როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებში ასევე საქართველოში, მაგალითად ბოლო პერიოდში გამოფენები ჰქონდა არტ - კაფე „ტიფლის ბრანჩში", ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელმწიფო მუზეუმში და სხვა.

# გურანდა ანჩაბაძე ფოტოგამოფენა "მაჩვენე სახე"

ბაია გალერეა წარმოგიდგენთ გურანდა ანჩაბაძის და ბაია გალერეას ერთობლივი ფოტო-პროექტის პირველ გამოფენას "მაჩვენე სახე".

გურანდა ანჩაბაძე ცხოვრობს და მოღვაწეობს ლონდონში. მისი ფოტო-პორტრეტების მოდელები თანამედროვე ქართველი მხატვრები არიან. ავტორის მიზანია, ორი წლის განმავლობაში შექმნას ნამუშევრების სერია ქართველი მხატვრების მონაწილეობით. პროექტი მოიცავს ოთხ ექსპოზიციას, რომელიც 2016 - 2017 წლებში იქნება წარმოდგენილი ბაია გალრეაში. პროექტის დასრულების შემდეგ გამოიცემა კატალოგი.

"მაჩვენე სახეს" პირველი ექსპოზიცია 20 მხატვარს წარმოგვიდგენს. პროექტის მიზანია მოდელის პერსონალური მონაცემების ინტერპრეტაცია. ფოტოსესია მიმდინარეობდა 2014 და 2015 წლის ზაფხულში. ავტორმა გადაიღო 400-ზე მეტი ფოტო საიდანაც საგამოფენოდ შეირჩა 32 ნამუშევარი.

პროექტის განხორციელებითშეიქმნება საინტერესო დოკუმენტური მასალა ქართული ხელოვნების მიმდინარე პროცესის და მასში მონაწილე მხატვრების შესახებ.

# „CHECK IN GEORGIA“-ს პროექტის ფარგლებში საქართველოს მსოფლიო ვარსკვლავები ეწვევიან

პროექტის შესახებ პრესკონფერენცია საქართველოს ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ, მინისტრის მოადგილემ კახი კანდელაკმა და საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა გიორგი ჩოგოვაძემ გამართეს.

„Check in Georgia” მასშტაბური კულტურული ღონისძიებების სერიას მოიცავს, რომელიც თბილისსა და ქვეყნის რეგიონებში გაიმართება. პროექტი ტრადიციულ ხასიათს მიიღებს და პროგრამა ყოველწლიურად კიდევ უფრო მრავალფეროვანი გახდება. „Check in Georgia”-ს ორგანიზებას კულტურის განვითარების საინვესტიციო ფონდი გაუწევს.

„ძალიან მნიშვნელოვანია, საქართველოში მუდმივად იმართებოდეს საინტერესო ღონისძიებები იმისთვის, რომ გაიზარდოს ქვეყნის ცნობადობა და ტურისტული მიმზიდველობა“,- განაცხადა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა პრესკონფერენციაზე განაცხადა.

კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ კი განაცხადა, რომ პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები არ არის კონცენტრირებული მხოლოდ დედაქალაქში და გაფანტულია 19-ზე მეტ ქალაქში მთელი ქვეყნის მასშტაბით. მისი თქმით ასეთი კატეგორიის შემსრულებლების ჩამოსვლა საქართველოში ნიშნავს, რომ ქვეყანა ინფრასტრუქტურულად თუ ადამიანური რესურსის თვალსაზრისით მზად არის ასეთი ვარსკვლავების მისაღებად.

„ბუნებრივია, რომ ამ პროექტში ძალიან აქტიურად მიიღებენ მონაწილეობას ქართველი შემსრულებლები. მთლიანობაში ეს ინიციატივა ხელს შეუწყობს ქვეყნის ცნობადობის ამაღლებას, მისი ძალიან პოზიტიური იმიჯის დამკვიდრებას მსოფლიო არენაზე და შესაბამისად შიდა და გარე ტურისტული ნაკადების ზრდას“, - აღნიშნა მიხეილ გიორგაძემ.

პროექტის განხორციელების მიზანია წლის განმავლობაში საქართველოს კულტურულ ცენტრად ქცევა და დიდი რაოდენობით ტურისტების მოზიდვა. ამ გზით ადგილობრივი მეწარმეობის ხელშეწყობა. შედეგად, დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა და როგორც თბილისში, ისე რეგიონებში მოსახლეობის შემოსავლების ზრდა.

წელს, მასშტაბური კულტურული ღონისძიებები აპრილში დაიწყება და წლის ბოლომდე გაგრძელდება. პროექტის „Check in Georgia” ფარგლებში დაგეგმილია კონცერტები მსოფლიო ვარსკვლავების მონაწილეობით: ეროს რამაზოტი (24 აპრილი, თბილისი), რობი უილიამსი (27 მაისი, თბილისი), “Maroon 5“ (7 ივნისი, ბათუმი), ხოსე კარერასი (18 ივნისი, ქუთაისი).

„Check in Georgia” მოიცავს ქართველი და უცხოელი შემსრულებლების მონაწილეობით ქვეყნის 19 ქალაქში დაგეგმილ კონცერტებს, 35 ფესტივალს, მათ შორის: თეატრალური ფესტივალები, კინოფესტივალები, მუსიკალური ფესტივალები, ანიმაციური ფილმების ფესტივალები, თანამედროვე ხელოვნების ფესტივალები, ქორეოგრაფიული ფესტივალი, მოდის კვირეულები, ფოტოფესტივალები და სხვა. „Check in Georgia”-ს განხორციელებით კიდევ უფრო მრავალაფეროვანი გახდება საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები.

გარდა ამისა, პროექტის ფარგლებში, დაგეგმილია ქალაქ ბათუმში საკონცერტო მოედნის მოწყობა, რომელიც აღჭურვილი იქნება თანამედროვე გახმოვანების აპარატურით, განათებით, სცენით, დაცვის მომსახურებითა და ყველა იმ სერვისით, რაც აუცილებელია სრულფასოვანი კონცერტის ჩასატარებლად.

„ეს იქნება ხელისუფლების მხრიდან უპრეცედენტო შეთავაზება ქვეყნის მასშტაბით მოღვაწე პროდიუსერებისათვის, მომღერლებისა და მუსიკოს-შემსრულებლებისათვის, მათ მთელი ზაფხულის სეზონზე შეეძლებათ სრულიად უსასყიდლოდ ისარგებლონ აღნიშნული სივრცით, დაგეგმონ ღონისძიებები, თავად განსაზღვრონ ბილეთის ფასი და მიიღონ შემოსავალი“, - აცხადებენ კულტურის სამინისტროში.

პროექტის ფარგლებში ჩასატარებელი ღონისძიებების პარალელურად, დაგეგმილია კერძო და საჯარო სექტორის მონაწილეობით სხვადასხვა აქტივობა, ისეთი, როგორიც არის ღვინის, ყველისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის ფესტივალები, ადგილობრივი ნაწარმის გამოფენა-გაყიდვები; პროექტში ინტეგრირებული იქნება ეკო-ტურიზმის მიმართულება: ველო-ტურები, ლაშქრობები, სპეციალური ტურები საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე.

აღნიშნული შეთავაზებები პროექტს „Check in Georgia” ჩვენი მოქალაქეებისათვის და ქვეყნის სტუმრებისათვის უფრო საინტერესოსა და მრავალფეროვანს ხდის.

პროექტის ორგანიზატორები ფიქრობენ, რომ „Check in Georgia” მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ჩვენი ქვეყნის პოპულარიზაციას, გაიზრდება მისი როგორც ტურისტული და კულტურული ცენტრის ცნობადობა და საერთაშორისო იმიჯი. შესაბამისად საქართველო დაიმკვიდრებს ღირსეულ ადგილს მსოფლიო კალენდარზე.

# ხელოვნებისა და კულტურის მენეჯერები ზოგადი ინგლისური ენის კურსს უფასოდ გაივლიან

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო და ბრიტანეთის საბჭო საქართველოში აცხადებს მიღებას უფასო ზოგადი ინგლისური ენის კურსზე ხელოვნებისა და კულტურის მენეჯერებისთვის (თეატრების, საგამოფენო დარბაზების, კინემატოგრაფიის სფეროში, სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებში არსებული სახელოვნებო ორგანიზაციებისთვის).

პროგრამა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ბრიტანეთის საბჭო საქართველოში ორგანიზებითა და დაფინანსებით ხორციელდება.

კურსის ხანრძლივობაა 2016 წლის მაისი - დეკემბერი. ლექციები საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში, ტრენინგ ცენტრის ბაზაზე ჩატარდება.

პროგრამაში მონაწილეობის მსურველებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ მათი ინგლისური ენის ცოდნის მინიმალური დონე უნდა იყოს საშუალოზე დაბალი (ვრეInტერმედიატე); დააუცილებელია - კვირაში 6 საათი დაუთმონ ინგლისური ენის მეცადინეობებზე დასწრებას. ბრიტანეთის საბჭოს სერტიფიკატით დაჯილდოვდებიან კურსის მხოლოდ ის მონაწილეები, ვინც დაესწრება კურსის არანაკლებ 90%. მეცადინეობები შედგება კვირაში სამჯერ ორშაბათს/ ოთხშაბათს/ პარასკევს, საღამოს 6:30 სთ-დან 8:30 სთ-მდე. მონაწილეებს ექნებათ კლასგარეშე დავალებებიც და აუცილებლად უნდა დაესწრონ ბრიტანეთის საბჭოს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებს;

შერჩევის პროცესის მოიცავს სამ ეტაპს: პირველი ეტაპზე მონაწილეები შეირჩევიან მათი CV -სა და სამოტივაციო წერილის საფუძველზე; მეორე ეტაპზე აპლიკანტების ინგლისური ენის ცოდნის დონე შემოწმდება ბრიტანეთის საბჭოს Aპტის ტესტის საშუალებით; საბოლოოდ შედგება 1 ჯგუფი 12 მონაწილისგან, რომელთა ინგლისური ენის ცოდნის დონე ერთი და იგივე იქნება;

აპლიკაციების გამოგზავნის ბოლო ვადაა 2016 წლის 17 აპრილი, 18:00 სთ. ადგილების რაოდენობა შეზღუდულია.

# საჯარო მეტყველების კონკურსის 19-წლიანი ტრადიცია საქართველოში

მარი ტაბატაძე EXCLUSIVE

6 აპრილს ცნობილი გახდა, თუ ვინ წარადგენს საქართველოს საჯარო მეტყველების საერთაშორისო კონკურსზე დიდ ბრიტანეთში, სადაც ,,ინგლისურად მოლაპარაკეთა კავშირში'' გაერთიანებული 64 ქვეყნის საუკეთესო ორატორები მიიღებენ მონაწილეობას. თბილისში ჩატარებული კონკურსის გამარჯვებულად ჟიურიმ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკური მეცნიერებების მე-2 კურსის სტუდენტი გუგა სუხიაშვილი დაასახელა. შესაბამისად, მაისის თვეში ლონდონში სწორედ ის გაემგზავრება.

,,ოზზერვერთან'' საუბარში მან აღნიშნა, რომ უკვე ლონდონში გამართული საერთაშორისო ფინალისთვის ემზადება და იმედს გამოთქვამს, რომ შეძლებს ღირსეულად წარმოადგინოს როგორც საკუთარი თავი, ასევე ქვეყანაც. აღსანიშნავია, რომ გუგა ნინა წელსაც იღებდა კონკურსში მონაწილეობას და გადავიდა კიდეც ფინალში, თუმცა გამარჯვება მაშინ ვერ შეძლო. მისი თქმით, კონკურენცია გასულ წელსაც დიდი იყო, წელს კი კმაყოფილებას გამოთქვამს და, ამასთან, ,,მიხარია, რომ ამ კონკურსთან დაკავშირებით საქართველოში ასეთი დიდი გამოხმაურებაა. იმედია, წლიდან წლამდე ინტერესი გაიზრდება'' - აცხადებს ის.

პირველ ადგილზე გასული გუგა სუხიაშილის მსგავსად, წლევანდელ კონკურსზე მონაწილეობას მეორედ იღებდა ირაკლი ქორქია, თავისუფალი უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი. ის შარშან მესამე ადგილის მფლობელი გახდა, წელს კი მეორე ადგილი დაიკავა. როგორც მან ,,ოზზერვერთან'' ინტერვიუში აღნიშნა, საბოლოო მიზანი მიუღწეველი დარჩა, თუმცა, ფიქრობს, რომ გრძლევადიან პერსპექტივაში მიიღო ბევრი ისეთი რამ, რაც მისთვის ძალიან ღირებულია.

ამას გარდა, საკუთარი შედეგების გაუმჯობესების მიზეზად ის შარშანდელ გამოცდილებას ასახელებს. ,,ვიცოდი, თუ რა სტილით წარმართავდნენ თავიანთ სიტყვას სხვა მონაწილეები, ისინი ხშირად არჩევენ ხოლმე მაღალფარდოვან და პათეტიკურ საუბარს, ამგვარად, მე სხვა კუთხით წარვადგინე თემა''.

გარდა აღნიშნულსა, მთავარ პრიზთან მიახლოების პროცესში, ირაკლი ქორქია კიდევ ერთ მნიშვნელოვან მახასიათებელს გამოყოფს: ,,ვეცადე დამერღვია ის ბარიერი, რომელიც მონაწილესა და მაყურებელს/ჟიურის შორის არის. ჩემი მიზანი არ იყო, რომ სიტყვით გამოსვლისას მხოლოდ მე მომეთხრო რამე, შევეცადე, ერთად მიგვეგნო სიახლეებისთვის და დროდადრო მეც აღმოვჩენილიყავი მაყურებლის როლში''. სწორედ ამ მახასიათებლებს მიიჩნევს ის კონკურენტული უპირატესობის მოპოვების საშუალებად.

ზოგადად კი ირაკლი ქორქიას მიაჩნია, რომ ,,ეს კონკურსი ძალიან კარგი სტიმულია ახალგზარდებისთვის, რათა მოსინჯონ საკუთარი ძალები, დაიხვეწონ, შრომით მიაღწიონ წარმატებას, ნახონ რეალური შედეგი და თავიანთ თავზე გამოსცადონ კონკურსის შედეგად მოტანილი ყველა დადებითი მახასიათებელი''.

მართალია, ირაკლი ქორქია ლონდონში გამართულ საერთაშორისო კონკურსში მონაწილეობას ვერ მიიღებს, თუმცა, ის DAAD-ისა და ჩინეთის მთავრობის სტიპენდიის მფლობელია, რომლის ფარგლებშიც აგვისტოში ერთი თვით გერმანიაში მიემგზავრება, ხოლო სექტემბრიდან კი 1 წლით ჩინეთში გაივლის ჩინური ენის კურსებს.

რაც შეეხება მესამე ადგილის მფლობელს, ეთერ ჭუმბურიძეს, ის თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტია. როგორც მან ,,ოზზერვერთან'' საუბარში აღნიშნა, ძალიან მოსწონს მსგავსი პროექტები, ყოველთვის ცდილობს მათში მონაწილეობის მიღებას და მიაჩნია, რომ ისინი ხშირად არის მნიშვნელოვანი შესაძლებლობების წყარო.

„ყველაზე ადვილად ადამიანები მაშინ თმობენ ძალაუფლებას, როცა მიიჩნევენ, რომ მათ ის არ გააჩნიათ", აღნიშნულ საკონკურსო თემასთან დაკავშირებით კი, მესამე ადგილის მფლობელის აზრით, ადამიანებს სხვადასხვაგვარი აღქმა შეიძლება ჰქონდეთ. ამიტომ, საკუთარი საუბრისას ის თავდაპირველად ეცადა, სიტყვა ძალაუფლება განემარტა; შემდეგ კი ყურადღება გაამახვილა იმ ძალაზე, რომელიც ყველა ადამიანშია და თითოეულ მათგანში საჭიროებს განვითარებას.

16-დან 20 წლამდე ასაკის ახალგაზრდები უკვე მე-19 წელია მონაწილეობენ საჯარო მეტყველების კონკურსში, რომელიც ყოველწლიურად "ინგლისურ ენაზე მოლაპარაკეთა კავშირის" ორგანიზებით ტარდება.

წელს გამარჯვებულები გამოვლინა ჟიურიმ, რომლის წევრებს შორისაც საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე ანა დოლიძე და ბრიტანეთის ელჩი საქართველოში ალექსანდრა ჰოლ ჰოლიც იყვნენ. ჟიურის წევრი ანა დოლიძე ინგლისური ენის სრულყოფილად ცოდნის მნიშვნელოვნებაზე საუბრობს და აცხადებს, რომ მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის ევროინტეგრაციის პროცესში.

ამგვარად, წლევანდელი საჯარო მეტყველების კონკურსის შედეგად, კიდევ ერთი ქართველი შეურთდება იმ ახალგაზრდათა რიცხვს, რომლებმაც 19 წლის განმავლობაში მიიღეს მონაწილეობა ლონდონში გამართულ საერთაშორისო კონკურსზე. შედეგად კი გაგრძელდება კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ხანგრძლივი ტრადიცია, რომელიც ,,ინგლისურ ენაზე მოლაპარაკეთა კავშირს'' (English Speaking Union, ESU) აქვს, ორგანიზაციას, რომელიც ლონდონში 1918 წელს დაარსდა, როგორც კავშირი ინგლისსა და ამერიკას შორის. მისი მიზანი ინგლისური ენის საშუალებით მეგობრობისა და ურთიერთგაგების განმტკიცებაა.

ამჟამად, ის 64 ქვეყანაშია ფუნქციონირებადი. მათ შორის საქართველოში, რომელიც კავშირის წევრი 1998 წელს გახდა.

# მცხეთაში სტრატეგიული მნიშვნელობის პროფესიული სასწავლებელი ამოქმედდება

მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წინამძღვრიანთკარში, რეგიონში ერთადერთი პროფესიული სასწავლებელის სრული რეაბილიტაციის პროცესი სრულდება.

საზოგადო მოღვაწემ და ქველმოქმედმა ილია წინამძღვრიშვილმა 1883 წელს, საკუთარ მამულში, თავისი ხარჯითა და საზოგადოების დახმარებით, გახსნა წინამძღვრიანთკარის სასოფლო–სამეურნეო სკოლა. 1933 წელს სკოლის ბაზაზე შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი. 2006 წლის მონაცემებით, სასწავლებელი ორიენტირებული იყო აგრარულ მიმართულებებზე. 2010 წელს პროფესიული სასწავლებლის ლიკვიდაცია განხორციელდა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის გადაწყვეტილებით, ერთი წელია შენობის სრული რეაბილიტაცია ხორციელდება, მოდულური საგანმანათლებლო პროგრამებისთვის ეწყობა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სახელოსნოები და ლაბორატორიები. კოლეჯი გეგმავს რეგიონის შრომის ბაზარზე მოთხოვნადი ისეთი პროფესიული პროგრამების დანერგვას, რომელიც ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულთა დასაქმებას და თვითდასაქმებას. დაწყებულია სამუშაოები აგრარული მიმართულების პროგრამების განსახორციელებლად. მიმდინარეობს მრავალწლიანი კულტურების განაშენიანება. პარალელურად, ხორციელდება კოლეჯის დამატებითი კორპუსების რეაბილიტაცია დაბა თიანეთსა და დაბა სტეფანწმინდაში.

უახლოეს მომავალში წინამძღვრიანკარში რეაბილიტაცია დასრულდება და დაიწყება აღჭურვითი სამუშაოები, ახალი სასწავლო წლიდან კი, პროფესიული სასწავლებელი განაახლებს ფუნქციონირებას, კვლავ აღორძინდება ის სასოფლო-სამეურნეო მიმართულელებები, რომელიც წლების წინ წარმატებით ფუქციონირებდა.

კერძო სექტორის მოთხოვნებიდან გამომდინარე, რეგიონში არსებობს სოფლის მეურნეობის მიმართლების სპეციალისტთა დეფიციტი. მცხეთა-მთიანეთში 20-მდე კერძო კომპანია ფუნქციონირებს, რომელიც მჭიდროდ ითანამშრომლებს პროფესიულ სასწავლებელთან, რაც სტუდენტების დასაქმებას შეუწყობს ხელს. სასწავლო დაწესებულება გათვლილია 300 სტუდენტზე.

# საქართველოში სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მიდგომების დანერგვა იგეგმება

8 აპრილს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ორგანიზებითა და ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA - Georgia) მხარდაჭერით, პროფესიული განათლების რეფორმის ახალი ინიციატივის "საჯარო-კერძო პარტნიორობა პროფესიულ განათლებაში" პრეზენტაცია გაიმართა.

ქვეყნის განვითარების ახალ ეტაპზე გადასვლის კონტექსტში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ, დამსწრე საზოგადოებას პროფესიული განათლების თანამედროვე შესაძლებლობები, სახელმწიფო და კერძო სექტორს შორის პარტნიორობის ალტერნატიული მოდელები და მეწარმეობის განვითარების ახალი შესაძლებლობები გააცნო. აღნიშნული ინიციატივის თანახმად, პროფესიულ განათლებაში გატარდება რეფორმა, რომლის შედეგად შესაძლებელი იქნება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების (WORK-BASED LEARNING) მიდგომის დანერგვა, დამსაქმებლის ჩართულობით საგანმანათლებლო პროცესის წარმართვა, საწარმოო პრაქტიკის კომპონენტის გაძლიერება, შრომის ბაზარზე ორიენტირებული პროფესიების გამოვლენა და პროფესიულ კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლის ზრდა.

შეხვედრას ესწრებოდნენ საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლები, პროფესიულ განათლებაში ჩართული დაინტერესებული მხარეები, დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები, საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტები.

# „დინამო თბილისი“ ლიდერობას არ თმობს

ვაკო ყიფიანი

6 აპრილს საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის 23-ე ტურის შეხვედრები გაიმართა. ქობულეთში, ,,ჩელე არენაზე'', ადგილობრივმა ,,შუქურამ'' მარტვილის ,,მერანს'' უმასპინძლა. მატჩი ფრედ 0:0 დასრულდა. მარტვილელებს ამ დროისთვის 14 ქულა აქვთ და მე-15 ადგილს იკავებენ, ხოლო ,,შუქურა'' 31 ქულით მერვე ადგილზეა. ,,მერანის'' კონკურენტმა თერჯოლის ,,საპოვნელამ'' ზესტაფონში დავით აბაშიძის სახელობის სტადიონზე ,,საბურთალოს'' უმასპინძლა , ეს მატჩიც ფრედ 0:0 დასრულდა. ,,საპოვნელას'' 14 ქულა აქვს და ,,მერანთან'' ერთად მე-14, მე-15 ადგილებს იყოფს. ,,საბურთალომ'' ბოლო ოთხი მატჩიდან ორი მოიგო და ორიც ფრედ დაასრულა.

წაუგებელ სერიას აგრძელებს საფეხბურთო კლუბი ,,სამტრედია''. ეროსი მანჯგალაძის სახელობის სტადიონზე სამტრედიელებმა ბათუმის ,,დინამოს'' უმასპინძლეს და მეტოქე 2:0 დაამარცხეს. 28 ნოემბრიდან 6 აპრილის ჩათვლით ,,სამტრედიამ'' უმაღლეს ლიგაში 12 შეხვედრა ჩაატარა: 10 მოიგო და 2 ფრედ დაასრულა. ბათუმის ,,დინამოსთან'' შეხვედრაში ანგარიში ბუდუ ზივზივაძემ გახსნა 53-ე წუთზე, მეორე გოლი 65-ე წუთზე დავით ჯიქიამ გაიტანა. ,,სამტრედია'' 50 ქულით მეორე ადგილს იკავებს და პირველ ადგილზე მყოფ თბილისის ,,დინამოს'' 11 ქულით ჩამორჩება, ხოლო მესამე ადგილზე მყოფ გორის ,,დილას'' სამი ქულით უსწრებს. ბათუმელებს 36 ქულა აქვთ და მეშვიდე ადგილზე არიან.

სამი ქულა მოიპოვა გორის ,,დილამაც'', რომელმაც ლანჩხუთში ადგილობრივ ,,გურიას'' მაშუკოვის გოლის წყალობით 0:1 მოუგო. ამ გამარჯვებუთ გორელებს 47 ქულა აქვთ. ლანჩხუთის ,,გურია'' 17 ქულით მე-13 ადგილს იკავებს , გურულებს გასავრდნი ზონისგან მხოლოდ სამი ქულა აშორებთ.

ივანწმინდაში საჩხერის ,,ჩიხურას'' ცხინვალის ,,ცხინვალი'' ესტუმრა, საჩხერლებმა პირველ ტაიმი 2:1 მოიგეს და მატჩის საბოლოო ანგარიშიც ეს აღმოჩნდა. მასპინძლებმა სწრაფი გოლების გატანა შეძლეს. მე-5 წუთზე გიორგი განუგრავა, გახსნა ანგარიში, 5 წუთში ლაშა ჩიკვაიძემ ორ ბურთამდე გაზარდა ,,ჩიხურას'' უპირატესობა. 9 წუთში ,,ცხინვალმა'' ანგარიშში სხვაობა შეამცირა, გოლი ლაშა ქოჩლაძემ გაიტანა. გუნდებმა მეტის გაკეთება ვეღარ შეძლეს და ,,ჩიხურამ'' სამი ქულა მოიპოვა.

უმაღლეს ლიგაში რვამატჩიან წაუგებელ სერიას აგრძელებს ბოლნისის ,,სიონი''. ბოლნისელებმა ზუგდიდის ,,ზუგდიდს'' 3:1 მოუგეს. თამაზ სტეფანიას სახელობის სტადიონზე შეკრებილი გულშემატკივარი ,,სიონმა'' კიდევ ერთხელ გაახარა. ანგარიში ოთარ კობახიძემ გახსნა 33-ე წუთზე, 54-ე წუთზე რაფაელ ჩუკვურამ შეძლო ანგარიშის გათანაბრება. ხუთ წუთში ოთარ კობახიძემ დუბლი შეასრულა და ,,სიონი'' წინ გაიყვანა. 71-ე წუთზე ლუის ალბერტო მედინამ მატჩს წერტილი დაუსვა და ,,სიონმა'' 3:1 გაიმარჯვა. ლუის ალბერტო მედინამ ,,ზუგდიდთან'' გატანილი

ტურის ცენტრალური მატჩი ,,დინამო არენაზე'' გაიმართა. თბილისის ,,დინამომ'' ქუთაისის ,,ტორპედოს'' 2:1 მოუგო. მატჩი ტრადიციულად დაძაბული და სანახაობრივი გამოდგა. ანგარიში მე-40 წუთზე ნიკოლოზ გელაშვილმა გახსნა, 79-ე წუთზე გიორგი კუხიანიძემ თერთმეტმეტრიანი დარტყმით გაათანაბრა ანგარიში.

მსაჯის მიერ დამატებულ მეოთხე წუთზე ბაქარ მირცხულავამ ჯაბა ჯიღაური წააქცია საჯარიმოში , მსაჯმა თერთმეტმეტრიანი დანიშნა და ბაქარ მირცხულავა მოედნიდან გააძევა. გიორგი ქვილითაიამ ზუსტად შეასრულა თერთმეტმეტრიანი და ,,დინამომ'' 2:1 მოიგო. თბილისელებს 23 ტურის შემდეგ 61 ქულა აქვთ და პირველ ადგილს იკავებენ, ,,ტორპედო'' კი 30 ქულით მეცხრე ადგილზეა.

# სპორტული სიახლეები

## ძიუდო

ბექა ღვინიაშვილი -100კგ წონით კატეგორიაში სამსუნის გრან პრის გამარჯვებული გახდა. ამ გამარჯვებით ოლიმპიადის სალიცენზიო რეიტინგს მან კიდევ 300 ქულა შემატა და უკვე ხვდება სალიცენზიო ზონაში. ბექა ღვინიაშვილმა სამსუნის გრან პრი კარიერაში მეორედ მოიგო. პირველი გამარჯვება მან 2014 წელს -90კგ წონით კატეგორიაში მოიპოვა.

+100კგ წონით კატეგორიაში ვერცხლის მედალი მოიპოვა ლევან მატიაშვილმა. მან მხოლოდ ფინალი დათმო ტედი რინერთან. ამავე წონაში ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა ადამ ოქრუაშვილი.

## კალათბურთი

ზაზა ფაჩულია განაგრძობს სასტარტო ხუთეულში თამაშს, „დალასი“ კი - გამარჯვებებს. ტეხასელებმა ზედიზედ მეოთხე მოგება მინესოტაში გაიფორმეს, სადაც „ტიმბერვულვზს“ 88:78 მოუგეს. ფაჩულიამ მოედანზე 23 წუთი დაჰყო და 3 ცდიდან 1 ორქულიანი ჩააგდო. ქართველმა ცენტრმა მთლიანობაში 2 ქულა, 9 მოხსნა, 1 პასი და 1 ჩაჭრა მიითვალა.

* * * * *

ესპანეთის უმაღლეს ლიგაში დასანანი მარცხი განიცადა პლეი ოფში გასასვლელად მებრძოლმა „ანდორამ“. გიორგი შერმადინის გუნდი სტუმრად შეხვდა ლიგის აუტსაიდერს, ბოლო ადგილზე მყოფ „რეტაბეტს“ და 80:83 წააგო.

შერმადინმა17:11 წუთი ითამაშა და შეხვედრა 6 ქულითა და 7 მოხსნით დაასრულა.

## რაგბი

მსოფლიო რაგბის 20-წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატამდე ზუსტად 2 თვე რჩება. წელს ტურნირი 7-25 ივნისს მანჩესტერში გაიმართება, რომელშიც ქართული რაგბის ისტორიაში პირველად, მსოფლიოს 12 ელიტარულ ახალგაზრდულ ნაკრებს შორის უმცროსი ბორჯღალოსნები იასპარეზებენ. 20-წლამდელებმა ტურნირში მონაწილეობის უფლება შარშან, ლისაბონში მსოფლიო რაგბის ალაფაში გამარჯვებით მოიპოვეს. შარშანვე გახდა ცნობილი, რომ გაისად, 2017 წელს ამ ტურნირს, რომელიც კაცთა მსოფლიო თასის შემდეგ რანგით მეორეა, საქართველო უმასპინძლებს.

ეს ყველაფერი ახალი გამოწვევაა ქართული რაგბისთვის და შესაბამისად პირველი ნაბიჯი წლევანდელ ტურნირზე მონაწილეობაა, სადაც ჯგუფში საკმაოდ ძლიერ მეტოქეებს, ახალ ზელანდიას, ირლანდიასა და უელსს ვერკინებით.

* * * * *

დიდი 10-ის 2015-16 წლის სეზონის რეგულარული გათამაშება დასრულდა. ბოლო, მე-18 ტურმა გადაწყვიტა ვინ დატოვა უმაღლესი და ვის მოუწევს პირველი ლიგის მეორე ადგილოსანთან გადათამაშება.

პირველი ლიგიდან კი დიდ 10-ს შემდეგ სეზონში კიდევ ერთი ქუთაისური კლუბი 'ბაგრატი' დაემატება, რომელმაც 2015-16 წლის სეზონში გაიმარჯვა და დაიმსახურა უმაღლესის საგზური.

პლეი-ოფის პირველი წრე: ამრიგად, პლეი-ოფის პირველ წრეში 'ბათუმი' 16 აპრილს ფოთში 'ყოჩებს' 15 საათზე უმასპინძლებს, ხოლო 'ჯიქი' ავჭალაში 'აიას' 17 აპრილს, 16 საათზე შეერკინება.

OBSERVE TO LEAD
OBSERVER

შიო მღვიმელის ქ. No 15,
თბილისი, 0179
info@observer.com.ge
T: +995 595 313637

Find us on Facebook

**აღმსასრულებელი დირექტორი**
**ნინო შარაშიძე**
*nino.sharashidze@observer.com.ge*

**რედაქტორთა კოლეგია**
*editor@observer.com.ge*

**გამოწერა და რეკლამის განთავსება**
*sales@observer.com.ge*